

ქართული



3(28) 2010
08060-086060



ქართული მარტო ენდა?
ქართული ქართველით რწმუნდა!
ღმერთით, ბეჭისერთა,
ზღვათ როთ, იძოლენდა!

გარმანის ქართული სათვისტომას რჩებანი

ნოიამი:

საქართველოს ცენტ

3

ჭარბობი მხედარმთავრები
ეხება

4-8

კიბიონ ||
სხურიალ საქართველოს პატიონე

9-11

კონკრეტის ცენტ საუკეთესო მოსწავლის
გამოსავალი

12-13

„საქართველო - კავკასიონ გუბი“
მიუნისენის საექიუიტოების გამოფენა

14

ირასპონის ღლა 2010

15-16

20 წელი ევროპის სცენაზე

17-18

პარადი სიუვაჩულთან

19

მუხარ მაჭავაშიანის გახსენება

20-21

კლასიკურთან მოჩიდანი მუხარი

22-24

ციკონ გიმელაუჩე

24

უკანასკნელი თხოვნა

25-29

იუმონი

30

ს ე ვ ი ნ ე ვ ა გ ა ვ ა ხ ე რ მ რ ე ვ ე ბ

(ჩავტკით სულძი სიონის ზანი ...)

ჩავტკით სულძი სიონის ზანი
 და ალაზურილი ცმინდა სანთელი.
 სამში მიმავალ სამას სეჭვალის
 დიდ საყვირების კონიანცელი.
 სიონ ამ ჭარელაზე ცხელი ქანთებით
 მე გალუსტებულ დელოდლის ძებულ.
 სიონ ამ ჭარელაზე სისხლის მარადელას
 ჭარელაცია ძრღვებით ჩატირულ კუნძულს;
 სიონ ამ სფრინდები ძრღვის მისინით
 დაოძლებული სურცხულის;
 სიონ ლუთის მარჯლების ამ ჭკონლებ მუდა
 და სურეცილ თვალზე ცორებლი სოველი;
 სიონ გლვათა მეტის დალიანის ჭალ
 ამ მოწილომოდა ძრილი თცია —
 სიონ ამ მესმოდებ მართლა მიწისძგისა,
 სიონ მონეოლების ჭალთლზე მოლიან;
 სიონ ამ მესმოდებ ასაეგზე, თხვისა
 ჰაფონიძვილის ალექსანდრესი;
 სიონ ცინამუნზე ძრღვების მავის
 ამ იყოს ჭრები სისხლით ნალენი.
 ზინ გააჩინებენ ამ სტების ჭრიევალ? —
 ამდენი ძრღვები რაღ დამიჭირდეთ?
 მე თუ მომთხოვდით სიმღერას ახალს.
 მე თუ ეინდოდით თანამედროვედ? ..
 ნუ შემიძლალებთ — მე ჭალ ნაცარი.
 ნუ შემიძლალებთ — მე ეავსლი მცველი.
 ნუ შემიძლალებთ. ეს აშე საც აშე.
 სიონ აეონით ასე ჭიმლები...

ციციან ცაპიძე

სახელმწიფო მუზეუმი

ქართველი მთაწმინდის მუზეუმი მუზეუმი ၁၂

ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-1762 წლებში, ქართლ-კახეთის მეფე 1762-1798 წლებში. ოქმურაზ მეორისა და ვახტანგ VI-ის ასულის თამარ დედოფლის შვილი. დაიბადა 1720 წლის 7 ნოემბერს.

პირველი საბრძოლო ნათლობა 15 წლის ასაკში მიიღო, როდესაც ლექთა დამარცხელი რაზმების წინააღმდეგ ბრძოლაში უსარდლა ჯარს. 1737-1739 წლებში იმყოფებოდა ნადირ-შაჰის კარზე და მონაწილეობა მიიღო ინდოეთში ლაშქრობაში.

1744 წელს თეიმურაზ II ქართლის მეფე გახდა, ხოლო ერეკლე II კახეთისა. 1747 წელს თეიმურაზ II ირანში წავიდა. წასვლის წინ მან ქართლი ერეკლესა და აბდულა-ბეგს-იესეს ძეს ჩააბარა. აბდულა-ბეგმა ერეკლესთან ბრძოლა დაიწყო, თემცა კახო-ბატონმა შეძლო მოწინააღმდეგის დამარცხება. 1748 წელს ერეკლემ თბილისი გაათავისუფლა ირანელებისგან და იქ ქართველი მეციხოვნები ჩააყენა.

1749 წელს თეიმურაზი ქართლში დაბრუნდა. მართალია ქართლი და კახეთი დამოუკიდებელი სამეფოები იყო, მაგრამ მამაშვილი შეთანხმებულ პოლიტიკასატარებლნენდაფაქტიურადაღმოსავლეთი საქართველო ერთიანი იყო.

იმავე წლის შემოდგომაზე, თეიმურაზსა და ერეკლეს ერევნის ხანმა თარაქამების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება სთხოვა. ქართველებმა გაიმარჯვეს და ერევნის სახანო ქართლ-კახეთის მფარველობაში შევიდა.

მალე ანალოგიური ნაბიჯი გადადგა ნახიჩევანის სახანომაც.

1750 წელს თეიმურაზმა და ერეკლემ დამარცხეს ყარაბაღის მმართველი ფანა-ხანი. იმავე წელს გაიმართა ბრძოლა ქართლ-კახეთის სამეფოსა და დაღესტნელ ფეოდალთა ლაშქარს შორის.

დაღესტნელთა ცხენოსანი ჯარი თავს დაესხა ყაზახს და შემდეგ მდინარე იორზე ჩამოდგა. ქართლ-კახეთის გაერთიანებულმა ლაშქარმა თეიმურაზ მეორისა და ერეკლე მეორის წინამდღოლობით მტერს გამოსასვლელი გზები შეუკრა. მოწინააღმდეგე მდინარე იორს დაჰყვა და დანდისში, იორ-ალაზნის

შესაყართან დადგა. ქართველები მტერს წამოეწივნენ და სასტიკი ბრძოლის შემდეგ გამარჯვება მოიპოვეს. თვით ერეკლე მოწინავე ჯარში იბრძოდა. დაღესტნელთა გადარჩენილმა ნაწილმა ფლატიან გორას შეაფარა თავი, მაგრამ ფლატე მოსწყდა და გაქცეულები დაიღუპნენ. ქართველებმა ხელთ იგდეს მრავალი ტყვე და ნადავლი.

დანდისის ბრძოლის შემდეგ დაღესტნელი ფეოდალები კარგა ხანს ვეღარ ბედავდნენ საქართველოში ლაშქრობას, მხოლოდ მცირერიცხოვანი რაზმები დათარეშობდნენ.

1751 წლის იანვარში ქართლ-კახეთის გაერთიანებული ჯარი ჭარ-ბელაქნის უბატონი თემების დასამორჩილებლად დაიძრა. ქართველთა ლაშქარს ახლდა განხელთა და საქართველოში მცხოვრებ მაჰმადიანთა რაზმები. მათი მოკავშირე იყო შაჟის-ხანი აჯი-ჩალაბიც, რომელიც შემდეგ ჭარელ ლეკებს მიემხრო.

ლაშქრის ბედი მდინარე აგირ-ჩაის ნაპირზე 15 თებერვალის ბრძოლამ გადაწყვიტა. ქართველთა მეწინავე ლაშქარმა მტრის ცენტრი გაარღვია, მაგრამ დიდალი ქვეით ლაშქრით ჩასაფრებული ჰაჯი-ჩალაბი მოულოდნელად დაესხა თავს ქართველთა მარცხენა ფრთას, რომელშიც ქსნისა და არაგვის საერისთავოები შედიოდნენ. ქართველთა ლაშქრის მაჰმადიანური ნაწილი უკუიქცა. ქართველები დამარცხდნენ და გამარჯვება შაჟის-ხანს დარჩა. თვით მეფე ერეკლე თავადმა ბებურიშვილმა და გლეხმა დავით ბოსტაშვილმა გადაარჩინეს განსაცდელს.

აგრის ბრძოლაში დამარცხებამ შეარყია ერეკლესა და თეიმურაზის გავლენა ამიერკავკასიაში. აზატ-ხანმა გადაწყვიტა ესარგებლა ამით და იქ თავისი ძალაუფლება გავრცელებინა. თავდაპირველად მან ერევნის სახანოზე მიიტანა იერიში. ერევნის ხანმა ქართველ მეფეებს სთხოვა დახმარება. ქართველთა ჯარი ბამბაკში მივიდა, მაგრამ სიმცირის გამო ერევნის სახანოში გადასვლა და მტერთან შებრძოლება ვერ შეძლო. მალე ერევნისკენ გაემართა ერეკლე II, რომელსაც შეუერთდა წინათ გაგზავნილი ჯარი.

ქართველი



მეფე ერეკლე II

ქართველთა ლაშქარში 3000 მეომარი იყო აზატ-ხანს კი 18000 კაცი ჰყავდა.

გადამწყვეტი ბრძოლა სოფელ ყირბულახთან მოხდა. თავდაპირველად აზატ-ხანმა ქართველთა მარცხნა ფლანგს შეუტია და უკან დაახვინა. ერეკლემ თავის მხედრობას დაქვეითება უბრძანა და იერიშზე გადავიდა. მტერმა ვერ გაუძლო ქართველთა შეტევას და გაიქცა. ირანის შაპი აზატ-ხანი იძულებული გახდა ზევი დაღო ერეკლესთან.

ჰაჯი-ჩალაბის დამპყრობლური პოლიტიკით შევიწროებულმა განჯის, ყარაბაღისა და ყარადაღის ხანებმა დახმარებისათვის მიმართეს თეიმურაზ მეორესა და ერეკლე მეორეს. ნუხაზე სალაშქროდ მიმავალ ქართველებს გზაში შეუერთდა ბორჩალოს, დაღესტნელთა, ყაზახელთა, ერვნელთა, განჯელთა და ყარადაღელთა ჯარი. გაერთიანებული ლაშქარი ალაზანზე წყალდიდობის გამო ვერ გადავიდა და ლაშქრობა ჩაიშალა. ამასობაში ხანებმა ქართველ მეფებს უღალატეს. თეიმურაზ მეორემ ისინი დააპატირა და განჯისაკენ დაიძრა, რათა იქ თავისი კაცი დაესგა. ანჯელებმა ციხის კარი დაკეტეს და დახმარებისათვის ჰაჯი-ჩალაბს მიმართეს.

1752 წლის 28 მარტს, განძასთან გამართულ ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ. ამ მარცხმა ერეკლესა და თეიმურაზის ავტორიტეტი შეარყია და საჭირო გახდა ახალი ღონისძიებების გატარება.

სამთვიანი მხადების შემდეგ, 1752 წლის 1 სექტემბერს, თულქითაფასთან ბრძოლაში ერეკლემ სასტიკი მარცხი აგერა ჰაჯი-ჩალაბს და მისი ლაშქარი

მთლიანად გაანადგურა. ქართველთა ჯარმა დიდად დააზარალა და ქვეყნიდან განდევნა საქართველოს წინააღმდეგ მიმართული მაპმადიანურ სახანოთა კუშირი და ამით საქართველოს უპირატესობა მთელ ამიერკავკასიაში განამტკიცა.

მალე ქართლისა და კახეთის სამეფოებს ახალი საფრთხე დამტუქრა. გააქტიურდნენ ლეგები, რომლებიც უფრო და უფრო აძლიერებდნენ თავის მარბიელ ლაშქრობებს.

1754 წელს ხუნძახის ბატონმა ნურსალ-ბეგმა გააერთიანა აგარიელთა დიდი ნაწილი და მრავალრიცხოვანი ლაშქრით კახეთს მიადგა. გაიარა იგი ძარცვა- რბევით, ააოხრა არაგვის საერისთავო, დაწვა ერისთავის სასახლე და მონასტერი დუშეთში და მჭადიჯვრის ციხე-გალაგანს შემოერტყა.

ციხის გარემოცვა და ბრძოლა 6 დღეს გაგრძელდა. 16 აგვისტოს ქართველთა ლაშქარმა ერეკლე მეორის სარდლობით დაამარცხა ლეკთა ლაშქარი, თუმცა ლეგების თარეში ამით არ შეწყვეტილა.

1755 წელს ნურსალ-ბეგმა ქართლ-კახეთის წინააღმდეგ მთელი დაღესტანი და ჭარ-ბელაქანი დარაზმა. მიიმხრო შამხალის სამფლობელო, ყაზიყუმუხის ხანი და 20 ათასიანი ლაშქრით კახეთს შეესია. იგი ყვარლის ციხე-გალაგანს შემოადგა, საღაც გაღმა მხრის მოსახლეობა იყო შეხიზნული. ჯარის სიმცირის გამო ქართველებმა მტერთან შებმა შეუძლებლად მიიჩნიეს. ერეკლე მეორემ ციხეში მაშველი რაზმის შეგზანა გადაწყვიტა. 207 მეომარი დამით ქიზიყიდან გავიდა, მდინარე ალაზანი გადალახა, მიეპარა ლეკთა ყარაულებს და ხმლით გაიკაფა გზა ციხისაკნ.

რაზმმა ციხეში დადგალი თოფის წამალი და სანოვაგე შეიტანა. მეციხოვნებმა მოახერხეს დაწვათ ლეკთა საფრები ციხის გარშემო. იმავე დროს ერეკლე მეორემ ჯარი გაგზავნა ჭარის დასარბევად. ჭარელები ციხეს მოსცილდნენ და ცოლ-შვილის მისაშველებლად თავიანთ ქვეყანაში დაბრუნდნენ. მათ გაჰყენა კაკის სულთანი და დაღესტინის სურხაი-ხანი, 28 სექტემბერს ნურსალ-ბეგი და შამხალიც გაეცალნენ ყვარლის ციხეს. ამრიგად ჩაიშალა საქართველოს აოხრების გეგმა.

1756-1757 წლებში ლეგებმა რამდენჯერმე გაილაშქრეს ქართლ-კახეთში, მაგრამ ყოველთვის დამარცხებულები ბრუნდებოლნენ უკან.

1757 წელს თეიმურაზ მეორემ, ერეკლე მეორემ და სოლომონ პირველმა დადეს ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ.

1759 წელს ლეკთა 8 ათასიანი ჯარი, კოხტა ბელადისა და ჩოხჩოლ-მუსას მეთაურობით საქართველოში შემოვიდა. სოფელ ატოცთან და ღვანის ციხესთან ერეკლემ მარცხი აგება მტერს. ამ

ბრძოლაში ქართლისა და კახეთის მეფეებს სოლომონ პირველიც ქმარებოდა.

1762 წელს პეტერბურგში გარდაიცვალა თემიშვარაზ Ⅱ. ქართლის სამეფო მემკვიდრეობით ერეკლე მეორეს ეკუთვნოდა და მანაც ორივე სამეფო გაართიანა. ამ დროიდან მოყოლებული ერეკლე ქართლ-კახეთის მეფეა.

ქართლის თავადების ნაწილი ერეკლეს წინააღმდეგი იყო და შეთქმულების მოწყობა განიზრახეს. ქართლის მეფედ მათ ვაზტანგ მექენის უკანონო შეიძლი პატა უნდოდათ. 1765 წელს ერეკლემ შეთქმულების შესახებ შეიტყო და მოწინააღმდეგები დასაჯა.

იმვევ წელს ერეკლე მეორემ გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც ტყვეობიდან თავისით დახსნილი გლეხი თავისუფალი ხდებოდა და ბატონს ხელი მასზე აღარ მიუწვდებოდა.

1768 წელს დაიწყო რუსეთ-ოურქეთის მორიგი ომი. ერეკლე მეორემ ისევე როგორც სოლომონმა გადაწყვიტა ჩაბძულიყო ომში რუსეთის მხარეს, თუკი ეს უკანასკნელი დამხმარე ჯარს გამოუგზავნიდა საქართველოში.

საქართველოში შემოსულ რუსთა საექსპედიციო რაზმს, რომელსაც ამიერკავკასიის ფრონტზე ოსმალთა ძალების ნაწილი უნდა მიეზიდა, ერეკლე მეორემ შესთავაზა რუს-ქართველთა ერთობლივი ძალით ახალციხეზე გალაშქრება. მისი მიზანი იყო მესხეთის გათვალისწილება ოსმალთა ბატონობისაგან.

1770 წლის მარტში რუსებისა და ქართველთა ჯარი შეერთდა. რუსების 1200 კაციან სამხედრო რაზმს გენერალი ტოტლებენი მეთაურობდა, ქართველთა 7000 კაციან ლაშქარს- ერეკლე II.

შეერთებული მხედრობა 24 მარტს ბორჯომის ხეობით ახალციხისკენ დაიძრა, 14 აპრილს აიღო სადგერის ციხე, 17 აპრილს კი ალყა შემოარტყა აწყურის ციხეს. იქ ერეკლემ უშუალოდ ახალციხეზე გალაშქრება მოითხოვა, რადგან აწყურის ძნელად მისადგომი ციხის მცირერიცხოვანი გარნიზონის წინააღმდეგ ბრძოლა დროისა და ძალის დაკარგვად მიაჩნდა, ხოლო ციხის ღრმა ზურგში მოტოვება მისი აზრით, თავისთავად გადაწყვეტდა აწყურის საკითხს.

ტოტლებენი შეუძლებლად მიიჩნევდა გამაგრებული ციხის ზურგში მოტოვებას და ამიტომ საიერიშო ღონისძიებათა მომზადებას შეუდგა, მაგრამ ციხის გარემოცვისა და ბრძოლის მისეული გეგმა არასწორი იყო. ამით ისარგებლა ახალციხის ფაშამ და 18 აპრილს აწყურის ციხეში 2000 კაციანი დამხმარე რაზმი შეგზავნა.

19 აპრილს ტოტლებენი თავისი რაზმითურთ მოულოდნელად უკანდაბრუნდა. მტერმადროი ხელთა, ციხიდან გამოიჭრა და თავს დაესხაქართველებს. ერეკლე მეორემ სწრაფი კონტრშეტევით უკუაგდო

მტერი და ასპინძისკენ დაიძრა. ქართველებისთვის გზა რომ გადაეჭრა, ახალციხის ფაშამ 1500 მეომარი გამოიყავანა ახალქალაქისა და ხერთვისის ციხეებიდან, მაგრამ ერეკლემ ეს რაზმი დაამარცხა და უკუაჭცია.

მალე ასპინძასთან მტრის ძირითადი ძალები გამოჩნდა. ოსმალ-ლეკთა 8 ათასიანი კორპუსის დიდ ნაწილს ერეკლემ მტკარზე გადმოსვლის საშუალება მისცა, დამით კი აღაბაბა ერისთავს, სვიმონ მუხრანბატონისა და ხუდია ბორბაჩალოელს მალულად გადაახერხინა ხიდის თავზები. ამით მტერს უკან დასახევი გზა მოეჭრა.

20 აპრილს ქართველები მტრის პირისპირ საბრძოლო წყობით განლაგდნენ: მარჯვენა ფლანკს დავით ორბელიანი სარდლობდა, მარცხენას- გიორგი ბატონიშვილი, შემდგომში გიორგი მეთორმეტე, ცენტრს - ერეკლე მეორე, რომელიც საერთო ხელმძღვანელობასაც ახორციელებდა.

ბრძოლა ქართველთა შეტევით დაიწყო. მტერმა ვერ გაუძლო დარტყმას და უწესრიგოდ იწყო უკან დახევა ხიდისაკენ. თავხეებგადახერხილი ხიდი ჩაინგრა და ასობით ოსმალ-ლეკი თან ჩაიტანა ადილებულ მტკარში. მტერმა ბრძოლის ველზე 4000 მოკლული დატოვა. დაღუპულთა შორის იყვნენ ოსმალთა კორპუსის მთავარსარდალი, რამდენი ცნობილი ფაშა და ბეგი. ერეკლემ ორთაბრძოლაში მოკლა ლეკთა ბელადი მალაჩალა, იგივე კოხტა ბელადი. ქართველებმა ხელთ იგდეს ტყვები, დროშები ცხენები და დიდალი იარაღი.

ტოტლებენის ღალატის გამო ერეკლე იძულებული იყო უკან დაბრუნებულიყო და შეწყვიტა წარმატებით დაწყებული ლაშქრობა.

1771 წელს ერეკლემ ხერთვისის ციხე აიღო.

1772 წელს ერეკლე მეორემ ელჩობა გააგზავნა რუსეთში ანტონ კათალიკოსისა და თავისი ვაჟის- ლევანის მეთაურობით.

1773 წელს ერეკლე მეორემ და სოლომონ პირველმა აღადგინეს ურთიერთშორის დადებული ხელშეკრულება.

1774 წელს ერეკლემ გამოსცა ბრძანება “მორიგე ჯარის” დაწესების შესახებ. ამან საშუალება მისცა მეფეს, ყოველთვის ჰყოლოდა 5000 მოლაშქრე. “მორიგე ჯარს” მისი შვილი- ლევან ბატონიშვილი მეთაურობდა.

1778 წელს ქართლ-კახეთის მეფემ განჯის მმართველი ფათ ალი-ხანი სასტიკად დაამარცხა.

1779-1780 წლებში ერეკლეს რამდენიმეჯერ მოუწია ლაშქრობა ერევნის სახანოს თავიდან დასამორჩილებლად.

1782 წლის 21 დეკემბერს ერეკლე მეორემ ოფიციალური თხოვნით მიმართა რუსეთის საიმპერატორო კარს ქართლ-კახეთის სამეფოს

ქართული

მფარველობაში მიღების შესახებ. 1783 წლის 24 ოქტომბერის, გეორგიევსკი რუსეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოებს შორის ხელი მოეწერა ტრაქტატს. 2 ნოემბერს თბილისში რუსეთის ორი ბატალიონი შემოვიდა.

1784 წელს ქართველთა და რუსთა გაერთიანებულმა ჯარმა ჭარს შეუტია და ლეკები დაამარცხა.

1785 წლის სექტემბერში აკარიის მმართველმა ომარ-ხანმა 20 ათასიანი ჯარით ქართლ-კახეთი დალაშქრა. ერეკლემ ვერ შესძლო სათანადო წინააღმდეგობა გაწია მტრისთვის და იძულებული გახდა ომარ-ხანისათვის ფული გადაეხადა, რათა ამ გზით დაქსნა თავი მისი შემოსევებისაგან.

1786 წელს ერეკლემ სამშვიდობო ხელშეკრულება დადო ახალციხის ფაშა სულეიმანთან.

იმავე წლის 18 დეკემბერს, საგარეჯოში გაიმართა დიდებულების თათბირი, რომელზეც განიხილებოდა საგარეო ორიენტაციის გადასინჯვის საკითხი.

1789 წლის იანვარში ერეკლე შეხვდა ალი-ხანს. მათ გაინაწილეს გავლენის სფეროები და გადაწყვიტეს შეთანხმებულად ემოქმედათ ერთობლივი მტრის აღა-მახმად-ხანის წინააღმდევ.

თავისი მოღვაწეობის ბოლო პერიოდში ერეკლე მეორემ რიგი სერიოზული შეცდომები დაუშვა, რაც მის სამშობლოს ძვირად დაუჯდა.

1790 წელს ერეკლეს ესტუმრნენ იმერეთის სამეფოს წარმომადგენლები: დოსიტების ქუთათელი, ექვთიმე გაენათელი, ზურაბ წერეთელი, სეხნია წულუკიძე და სხვები. ისინი სთხოვდნენ მეფეს იმერეთის შეერთებას ქართლ-კახეთის სამეფოსთან. მეფემ დარბაზი მოიწვია ამ უმნიშვნელოვანებისა კავითის გადასაწყვეტად. რამდენიმე დღე მიმდინარეობდა კამათი მომხრებს (გიორგი ბატონიშვილი, დავით ორბეგლიანი, ჭაბუა ორბეგლიანი, ანტონ კათალიკოსი) და მოწინააღმდეგებს (იოანე მუხრან ბატონი) შორის.

საბოლოოდ მეფემ განაცხადა, რომ ის ვერ შემოიერთებდა იმერეთის სამეფოს და ვერ წაართმევდა ტახტს თავის შვილიშვილს, დავით არჩილის ძე, მომავალ სოლომონ მეორეს, რომელიც მისი ასულის, ელენეს შვილი იყო.

ამ საკითხის გადაწყვეტაში მთავარი მაინც ის იყო, რომ იმერეთი თურქეთის გავლენის სფეროს წარმოადგენდა და მისი შემოერთებით ერეკლე მკვეთრად გაიუარესებდა ურთიერთობას პორტუსთან, თანაც ეს იმ დროს რუსეთის, რომლის მფარველობაშიც უკვე იყო ქართლ-კახეთის სამეფო, ინტერესებში არ შედიოდა.

1790 წელს დაიდო “ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული,

საზოგადოსათვის შეერთებისა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა”.

1791 წელს ერეკლე მეორემ შეცვალა ტახტის მემკვიდრეობის წესი-მამიდან უფროს შვილზე გადასვლის ნაცვლად, მან ბრძანა მეფობის ძმიდან ძმაზე გადასვლა. 1792 წელს ერეკლე მეფემ თავისი ბრძანებით შვილებს დაუნაწილა სამეფო ქონება და გამოუყო საუფლისწულოები.


1794 წელს ირანის ტახტი დაიკავა აღა-მახმად-ხანმა, რომელმაც საქართველოს დამორჩილება გადაწყვიტა და საამისოდ სამხედრო სამზადისს შეუდგა.

1795 წლის ივნისში ქართველთა ჯარმა ალექსანდრე ბატონიშვილის სარდლობით დაამარცხა ერევნისა და შუშის სახანოების დასამორჩილებლად გაგზავნილი აღა-მახმად-ხანის ლაშქარი.

თავისი ძალაუფლების განმტკიცების შემდეგ აღა-მახმად-ხანმა ერეკლე მეორეს მოსთხოვა ქართლ-კახეთის სამეფოზე სპარსეთის ბატონობის აღდგენა და რუსეთთან კავშირის გაწყვეტა. გეორგიევსკის ტრაქტატის ერთგული ერეკლე მეორე რუსეთის მთავრობას დახმარებას სთხოვდა.

სექტემბრის დასაწყისში აღა-მახმად-ხანი 35 ათასიანი ჯარით საქართველოსგან გამოემართა და 8 სექტემბერს ლოდანლუჯ-იაღლუჯის ჩრდილოეთ კალთებსა და კუმისის ტბას შორის, მდინარე მტკვრის ნაპირზე დაბანაკდა. სპარსელთა ჯარში თავიანთი ლაშქრით იყვნენ განჯის მმართველი ჯავად-ხანი, ყარაბაღელ სომხთა მელიქები მეჯლუმი და ჰაბოვი, ასევე ერევნის ხანი.

აღა-მახმად-ხანის ამ გამოლაშქრებას ელოდნენ საქართველოში და მრავალრიცხოვანი ჯარის შეკრებაც შესაძლებელი იყო, მაგრამ რუსეთის დახმარების მომლოდინე ერეკლე მეორემ დროული და საჭირო დონისძიებები ვერ გაატარა და მტერს მოუმზადებელი დახვდა. ქართველმა სარდლობამ გადაწყვიტა გამოეუნებინა მისადგომების რელიეფი და აეძლებინა მტერი ებრძოლა ისეთ პირობებში, რომ ვერ მოქერხებინა ჭარბი ძალების გაშლა და



გეორგიევსკის ტრაქტატი

ბრძოლაში ჩაბმა.

ამასთან ქართველებმა მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარეს თავდაცვით ზღუდებისა და პოზიციების შესაქმნელად. ქართველთა ლაშქარი 5 ათასამდე მეომარს ითვლიდა, აქედან 2000 იმერეთის სამეფოდან იყო, მათ სოლომონ მეორე მეთაურობდა.

ქართველთა სარდლობამ ლაშქარი სეიდაბად-მტკვრის ვიწროებში დააბანაკა. მეწინავე რაზმს ითანე ბატონიშვილი მეთაურობდა, მარჯვენა ფრთას – დავით ბატონიშვილი (გიორგი მეთორმეტის ძე), მარცხენას- ითანე მუხრანბატონი, ცენტრს და საერთო ფრონტს- ერეკლე მეორე. ცენტრს უკან მარქაფში ორი რაზმი იყო, რომელთაც ვახტანგ ბატონიშვილი და ოთარ ამილახვარი სარდლობდნენ.

აღა-მახმად ხანმა თავისი ლაშქარი 14 რაზმად დაჭყო და მოპირდაპირე მხარეს- შავნაბადას, თელეთისა და კრწანისის მიდამოებში განალაგა. ჯარის ზურგში თურქმანთა 6 ათასიანი ოჩეული რაზმი დააყენა, რომელსაც შემტევი ნაწილების უკან დახვევის შემთხვევაში მათვის ცეცხლი უნდა გაქსნა.

9 სექტემბერს დილით, ქართველთა ნაწილების დასაზღვრად და ხელსაყრელი პოზიციებიდან გამოსატყუებლად ირანელთა ავანგარდი სოდანლულიდან ორჯერ გადავიდა იერიშე. ქართველთა მეწინავე რაზმმა მტერი ორჯერევე ახლოს მიუშვა, შემდეგ კი ერთბაშად ცეცხლითა და მოულოდნელი იერიშით უკუაქცია. 10 სექტემბერს მტრის მეწინავე ჯარმა მძლავრად შეუტია ქართველთა გამაგრებულ ხაზს ტაბახმელისა და შინდის შორის. ამ ბრძოლაში ქართველებმა გაიმარჯვეს.

11 სექტემბერს დილის 7 საათზე, ირანელთა ლაშქარი მტკვარ-შავნაბადას ვიწროებით თბილისისაკენ დაიძრა და საათნახვრის შემდეგ ქართველთა საბრძოლო დაცვის პირველ პოზიციას შეუტია. 5000 კაცი თბილისისათვის ზურგიდან მოსავლელად თელეთის მიმართულებით გაგზავნეს. ქართველთა ლაშქარმა ეს შეტყვა მოიგერია, მაგრამ მტრის გაძლიერებული ცეცხლის შემდეგ იძულებული გახდა თავდაცვის მეორე პოზიციაზე გადასცლიყო. ერეკლე მეორემ მეწინავებს ვახტანგ ბატონიშვილისა და სხვა რაზმებიდან ამორჩეული ქიზიყელთა, არაგველთა და თუშ-ფშავ-ხევსურთა ძალები მიაშეველა. მათ შეუერთდა თბილისის მოსახლეობის რაზმი, რომელსაც სასახლის შსახიობთა დასის მეთაური მაჩაბელა ედგა სათავეში.

მტერი თელეთის მხრიდან შავნაბადის ქედზე გადმოვიდა და მოულოდნელად შეუტია ქართველთა მარჯვენა ფრთას, მაგრამ დავით ბატონიშვილის რაზმმა არტილერიის ცეცხლით უკუაქცია იგი.

აღა-მახმად ხანმა ადიდებული მტკვარი გადალახა და იქიდან დაათვალიერა ქართველთა

პოზიციები. ქართველებმა მტრის ეს მანევრი ზურგიდან შემოვლის საშიშროებად მიიჩნიეს, მათ უკან დაიხიეს და მეორე მხრიდან მესამე თავდაცვით სანგარში მყოფ ჯარებს შეუერთდნენ. მოღალატეთა დახმარებით შაპი მოხერხებული ფონით უკანვე გადავიდა მტკვარზე. ირანელთა მეწინავე ნაწილები სეიდაბადის ბალებში შეიჭრნენ, მაგრამ ქართველთა ჯარი კლდებიდან კონტრშეტევებით იგერიებდა მტერს.

ამ დროს სეიდაბადის სამხრეთი კალოებიდნ შეტყვაზე გადავიდა ვახტანგ ბატონიშვილის 2 ათასიანი რაზმი, რომლის ამოცანა იყო სპარსელთა ჯარის შუაზე გაკვეთა. მტერმა თავისი ძალები ამ რაზმის უკუგდებაზე დააბანდა. ამ დროს ერეკლე მეორემ კონტრშეტევაზე გადასცლა ბრძანა, მაგრამ მძიმე ბრძოლაში ისედაც მცირე ქართველთა ძალები თანდათან ამოიწურა და უკან დახევა დაიწყო. ამავე დროს კრწანისის მაღლობიდან მტერმა ქართველებს ზარბაზნების ცეცხლი გაუხსნა. უცარი იერიში მიიტანეს დავით ბატონიშვილის რაზმზეც. ქართველებისათვის ზურგიდან შემოსავლელად და უკანდასახევი გზის მოსაჭრელად რამდენიმე ასეულისაგან შემდგარი ცხენოსანი რაზმი შინდისის მიმართულებით გაიგზავნა. მტრის ეს მანევრი ქართველთა სარდლობამ შენიშნა და იმერელთა ათასეულის მეთაურისა და არტილერიის უფროსის გასაფრთხილებლად შიკრიკი გაგზავნა, მაგრამ იგი გზაში მოკლეს.

ერთი საათის შემდეგ ქართველთა ლაშქარი მესამე სანგრიდან მეორხეში გადავიდა, აქაც ერთი საათი იბრძოდა და შემდეგ უკან დახევა დაიწყო. დღის მეორე ნახევარში აღა-მახმად-ხანმა მთელი რეზერვი ბრძოლაში ჩააბა და ქართველებს დევნა დაუწყო. ქართველმა მეზარბაზნებმა შეძლეს მტრის შეტყვის დროებით შეკავება.

ერეკლე მეორემ და მისმა 150-მდე მხედარმა თბილისზე გავლით საგურამოსკენ გასწია და ბოლოს თავი მთიულეოს შეაფარა. მტერი ქალაქში შევიდა. მათ თბილისი გადაწვეს და გაძარცვეს.

მარცხმა მძიმედ იმოქმედა როგორც პირადად მეფეზე, ასევე მის სამეფოზეც. რუსებს, რომლებსაც “გეორგიევსკის ტრაქტატით” საქართველოს დახმარების ვალდებულება ჰქონდათ აღებული, ხელიც არ გაუნდრევიათ, რუსეთს აწყობდა ქართლ-კახეთის სამეფოს დასუსტება.

1798 წლის 11 იანვარს ერეკლე მეორე თელავში გარდაიცვალა. მხცოვანი მეფე სვეტიცხოველში დაკრძალეს.

მომზადებულია ტელეკომპანია „საქართველოს“ პროექტი „მთავარსარდლის“ ლიტერატურული ცენტრის მიხედვით კულტორი ლეგან უმიკაშვილი

ტექნიკურის

საქართველოს გადასის ისტორია რამდენიმე პერიოდად იყოფა. 1811 წელს, როდესაც საქართველოს წმიდა კათოლიკურ სამოციქულო ეკლესის უკანასკნელი კათოლიკოს-პატრიარქი, მეფე ერუკლე II-ის ძე, ანტონ II იმულებითი წესით რუსეთში გადაასახლეს და საქართველოს სამოციქულო ეკლესის ავტოკეფალია გაუქმდეს, დაიწყო საქართველოს ეკლესის ისტორიის ახალი პერიოდი.

ამიერიდან კათოლიკოს-პატრიარქის ნაცვლად, საქართველოს სამოციქულო ეკლესის ეპისკოპოსი მართვდა. 1817 წლიდან 1917 წლამდე საქართველოს ეკლესის მართვდნენ რუსი ეპისკოპოსი (სულ 19 ეპისკოპოსი), რომელიც ქართველი ტრადიციებისა და ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ იმპრენდებოდა.

ერთი საუკუნე დასჭირდა ქართველ ხალხს ეკლესის დაკარგული უტოკეფალიის დასაბრუნებლად. 1917 წელს ეკლესის კვლავ ქართველი კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II (სამაგლიშვილი) მოვლინა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს ეკლესის დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში.

ჩვენი უურნალის ამ რუბრიკაში ვთვაზობთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქია ცხოვრებასა და მოღვაწეობას ქრონოლოგიის მიხედვით 1917 წლიდან.

კირიონ II სჩერიალ საქართველოს პატრიარქი (1917-1918)

მისი უწმინდესობა კირიონ II (ერისკაცობაში გიორგი სამაგლიშვილი), სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1917-1918 წლებში, ქართველი მეცნიერი, სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, ქართული ინტელექტუალური საზოგადოების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

კირიონ II დაიბადა 1855 წელს გორის მაზრის სოფელ ნიქოში სასულიერო პირის ოჯახში. იგი სწავლობდა ანანურის სასულიერო სკოლაში, შემდეგ კი გორის სასულიერო სასწავლებელში. 1876 წელს გიორგი სამაგლიშვილმა დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია და სწავლა კივის სასულიერო აკადემიაში განაგრძო. 1880 წელს ღვთისმეტების კანდიდატის ხარისხით დაასრულა აკადემიაში სწავლა და დაინიშნა ოდესის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანაშემწედ.

1883 წელს საქართველოს ეპისკოპოსის პავლეს (ლებედევი) განკარგულებით გადმოვიდა ოლავის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწედ. 1885-1897 წლებში წმინდა კირიონი პედაგოგიურ მოღვაწეობას წერდა გორში, ქუთაისსა

და თბილისში. 1886 წელს დაინიშნა კაფეკასიაში ქრისტიანობის აღმდენელი საზოგადოების სკოლების ინსპექტორად. მან დაარსა 19 სამრევლო სკოლა წიგნთსაცავებით და ბიბლიოთეკებით, ამავე პერიოდში ქართულ და რუსულ უურნალ-გაზეთებში იგი აქვეყნებდა წერილებს, გამოკვლევებს საქართველოს ეკლესის ისტორიაზე და ქართულ ლიტერატურაზე ივერიელის, სამაგლოვის და ლიაზველის ფსევდონიმებით.

1896 წელს ცოლ-შვილის სიკვდილის შემდეგ იგი ბერად აღიგევცა კირიონის სახელით. იმავე წელს კირიონი ქვათახვის ყოვლადწმინდა ღვთისმეტების მიძინების მამათა მონასტერის წინამძღვრად დანიშნეს და იმავდროულად იღუმნის წოდება მიანიჭეს. ცოტა მოგვიანებით კი, კერძოდ 1898 წლის 10 მაისს, სიონის საკათედრო ტაძარში არქიმანდრიტის წოდება უბოძეს.

ამ პერიოდში ღვთისმსახურების პარალელურად კირიონი მეცნიერულ მოღვაწეობასაც განაგრძობს. აგროვებს ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს,

სწავლობს ხალხის ზნე-ჩვეულებებს, მუშაობს ეკლესია-მონასტრების სიძველეებზე. თბილისის საეკლესიო მუზეუმებსა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამარცელებელი საზოგადოების სიძველეთა საცავს იგი უხვად სწირავს ეკლესია-მონასტრებში მიკვლეულ და საოჯახო კალექციებიდან მოპოვებულ იშვიათ ხელნაწერებს. ქვათახევის მონასტრის წინამდღვრობის დროს კირიონმა ქვათახევიდან ჩამოიტანა და თბილისის საეკლესიო მუზეუმს 96 ცალი ხელნაწერი გადასცა, მათ შორის XI საუკუნის სახარება, „დავითი“ და სხვა მრავალი საინტერესო ხელნაწერი.

1898 წლის აგვისტოში არქიმანდრიტი კირიონი რუსეთის წმინდა სინოდმა ალავერდის ეპისკოპოსად და საქართველოს გზარქოსის მეორე ქორეპისკოპოსად დანიშნა, რასაც ქართული საზოგადოების ნაწილი დიდი სიხარულით შეხვდა. მაშინდელ საზოგადოებას იმედი ჰქონდა რომ ეპისკოპოსი კირიონი (მისი საქმიანობიდან გამომდინარე) შეძლებდა დაჩავრული ერისა და გაპარტახებული ეკლესიის აღდგენას.

ალავერდის ეპარქიაში ჩასვლისთანავე კირიონმა განაგრძო დაუცხრომელი მუშაობა. მან განადგურების პირას მისული ალავერდის ტაძრის შესაკეთებლად პროექტი შეადგინა და თავისი ხარჯებით დაიწყო ტაძრის შეკეთება. ამასთანავე ეპისკოპოსი კირიონი სწავლობდა კახეთის ეკლესია-მონასტრების სიძველებს. მან საქართველოს საეკლესიო მუზეუმს გადასცა 68 ხელნაწერი.

ეს ის პერიოდია (1811 წლის შემდგე, როდესაც რუსეთის მთავრობამ საეკლესიო სამართლის უხეში დარღვევით ქართული ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა და რუსული წირვა-ლოცვა დაწესა) როდესაც ხალხი პროტესტის ნიშნად ეკლესიებს ტოვებდა, რითიც სომხები სარგებლობდნენ და უკანონოდ იყავებდნენ ქართულ მართლმადიდებლურ ტაძრებს. კირიონ II იყო ერთ-ერთი იმ მცირეთაგანი, რომელმაც ხმა აღიმაღლა სომხების მიერ ქართული ტაძრების მიტაცების გამო. მან წერილით მიმართა საქართველოს გზარქოსს და ამ ტაძრების დაბრუნება მოითხოვა.

ალავერდის ეპარქიაში გაწეული მოღვაწეობისათვის კირიონი წმინდა ანას მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს და გორის ეპარქიაში ეპისკოპოსად გადაიყვანეს. გორში და მის ახლომდებარე სოფლებში საკუთარი ხარჯით დაარსა სკოლები და ბიბლიოთეკა-სამკითხველოები.

ეპისკოპოსის ეროვნული სულისკეთება რათქმაუნდა არ გამოპაპრება მეფის რუსეთს და ამ მიზეზით მასხე საერო ხელისუფლების მიერ მკაცრი, საიდუმლო მეთვალყურეობა დანიშნა. მალე კირიონ



კირიონ II

II გაათავისუფლეს გორის ეპისკოპოსობიდან, აუკრძალეს საკუთარ ქვეყანაში მოღვაწეობა და რუსეთში გადაიყვანეს.

დევნილობამ ვერ ჩაკლა კირიონ II-ის მებრძოლი სული და უცხო მხარეში გადახვეწილი საქართველოში დარჩენილ მეგობრებს ამხნევებდა.

1907 წელს მიუხედვად ეპისკოპოსის დიდი სურვილისა, მას უფლება არ მისცეს ილია მართლის ცხედარს გამომშვიდობებოდა და მან მხოლოდ დეპეშის გამოგზავნა მოახერხა.

1908 წლის მაისში, საქართველოში გზარქოსი ნიკონის მკვლელობის ორგანიზება დევნილ მღვდელმთავარს დააბრალეს და დაპატიმრებასთან ერთად ეპისკოპოსობა ჩამოართვეს. მთავრობის ამგვარი ქმედების მიზეზი იყო კირიონის დაუცხრომელი ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისთვის. ამგვარმა ცილისწამებამ აღაშფოთა როგორც საქართველო, ისე რუსეთის საზოგადოების მოწინავე ნაწილიც.

კირიონის დაპატიმრების გამო აკაკი წერეთელი წერს: „კირიონის ამბავმა ლახვარი გამიყარა,... რაც იმედი მქონდა, სულ გამიქარწყლდა, მაგრამ ამაზედ გლოგის დრო არ არის, თუს არ დავზოგავ, წავალ პეტერბურგში და თუ ჩემი არ გავიტანე, ცოცხალი აღარ დაგბრუნდები და მტრებს კი არ გაგარა ნაწილიც“.

კირიონ II კი ამ განსაცდელს ამგვარი განწყობით ხედებოდა: „გარდი უკალოდ ვის მოუკრეფია,

ქართული

სიყვარულით უნდა ავიტანოთ ტანჯვა, ვინაიდან ტანჯვა სიყვარულის ნაყოფია, ძალა ტანჯვაშია“.

1915 წლის იანვარში დაუბრუნეს ხარისხი და დანიშნეს პოლოცკისა და ვიტებსკის ეპისკოპოსად, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების ნება არ მისცეს.

1917 წლის 12 მარტს მცხეთის ტაძარში შედგა საქართველოს საეკლესიო ცხოვრების უდიდესი აქტი, აღდგა საქართველოს სამოციქულო ეკლესის ავტოკეფალია და ქართველი ერის დაუნიებული მოთხოვნით ეპისკოპოსი კირიონი სამშობლოში დაბრუნდა. ჩამოსვლისთანავე იგი აქტიურად ჩაება მშობლიური ეკლესის საქმიანობაში.

1917 წლის სექტემბერში გამართულ საეკლესიო კრებაზე იგი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს და ამავე წლის 1 ოქტომბერს მოხდა მისი ინტრონიზაცია.

მრავალმხრივი იყო კირიონ II-ის მოღვაწეობა. სასულიერო და საზოგადოებრივ საქმიანობასთან ერთად იგი აქტიურ სამეცნიერო კვლევით მუშაობასაც ეწეოდა. თითქმის შეუსწავლელია კირიონის ღვწლი ქართული ისტორიოგრაფიის კვლევის საქმეში. მიუხედავად მისი ტრაგიზმით აღსავსე ცხოვრებისა, ახერხებდა აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას. აღსანიშნავია, რომ მან წიგნად გამოცემული ორმოცხე მეტი მონოგრაფია დაგვიტოვა.

1918 წლის 26 იანვარს წმინდა დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღეს თბილისში გაიხსნა უნივერსიტეტი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უნივერსიტეტის ეკლესიაში გადაიხადა პარაკლისი.

1918 წლის 26 მაისს კირიონ II დიდი სიხარულით შევება საქართველოს დამოუკიდებლად გამოცხადებას და 27 მაისს თავისუფლების მოედანზე

საზეიმო პარაკლისიც გადაიხადა.

საქართველოს ეკლესიის მწევემსთავრად დადგინების შემდეგ კირიონის განზრახული ჰქონდა კელავ გაეგრძელებინა სამეცნიერო მოღვაწეობა, მაგრამ ეკლესიის შიგნით შექმნილი როგორი მდგომარეობა არ აძლევდა ამის საშუალებას. წმინდა კირიონის სარწმუნოებრივ-ეროვნული მოღვაწეობა მოსვენებას არ აძლევდა ეკლესიისა და ქვევნის მტრებს, დაიწყო ცილისწამებები, პროვოკაციები, მუქარები და შედევმაც არ დააყოუნა.

1918 წლის 26 ივნისს კათოლიკოს-პატრიარქი მარტივოფის მონასტერში მოკლული იპოვეს. მარტივოფის ტრაგედიაში ბრალი მიუძღვით ყველა იმათ, ვინც კირიონ II ეროვნული მიმართულების გამო შეიძულეს და მის დევნა- შევიწროებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს.

ეს ფრაზა მან ერთ-ერთ საეკლესიო წრეში წარმოთქვა: „ოცი წლის განმავლობაში დაშორებული ვიყავი სამშობლოს, შორიდან თვალყურს ვაღვენებდი, ვფიქრობდი, ამ ხნის განმავლობაში თქვენ საკმარისად შეიგენით საქვევნო მოვალეობა, მაგრამ როგორც ეხლა ვრწმუნდები, თქვენ უფრო დაქვეითებულხართ და დაქსაქსულხართ. თუ ხელახლა დაიბადებით, თორემ სხეაფრივ თქვენი გამობრუნება შეუძლებელია“.

წმინდა სინოდმა იგი 2002 წლის სხდომაზე მოწამეობრივად აღსრულებული საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი წმინდანად შერაცხა და ხსენების დღე 10 ივლისი დაინიშნა.

მრამზადა
ეკატერინე ცირიკაშვილმა

**ჩვენი უშროები აზრების უშროებისტოა ჩელის გავართოვებას
და ელის ყველა**

**დაიცვებოდეს სამართლებული პირის გამოცხადობის საზოგადოებრივ საცემებზე
უშროების**

თანამდებობების გუთხით.

დაგვიცემის მიზანი:

qartuli@satvistomo.de

სათვალეცნობი

პონდი ტლის საუკეთესო მოსწავლის გამოსავალებაზე

კონკურსი გერმანული ენის საუკეთესოდ მცოდნე მოსწავლის გამოსავალენად ახალციხეში უკვე ტრადიციად დამკვიდრდა. მესამე წელია გოეთუს ინსტიტუტი, ქართულ-გერმანული ორგანიზაცია „ედელვაისტ და გერმანიის ქართული სათვალესტომ ერთობლივი ძალებით საუკეთესო მოსწავლეს აღლენენ და მის სასწავლო პროგრამით გერმანიაში ჩამოყალიბებულ კონკურსში გამარჯვებული მე-11-ე კლასის მოსწავლე მარიამ კაპანაძეა, მისი მასპინძელი კი გერმანიის ქართული სათვალესტომოს თავმჯდომარის ლერი დათაშვილის ოჯახი.

- მარი პირველ რიგში გილოცავ გერმანიის ქართული სათვალესტომოს წლის საუკეთესო მოსწავლის ტიტულის მოპოვებას და მინდა გყითხო, როგორ გახდი ამ კონკურსის მონაწილე.

- ზოგადად ძალიან მიყვარს უცხო ენები, სიამოვნებით ვსწავლობ ინგლისურს და რუსულსაც, მაგრამ განსაკუთრებით გერმანული მომწონს. ახალციხეში გამართულ კონკურსში, რომელიც გერმანულის საუკეთესოდ მცოდნეს გამოარჩევს, უკვე მესამედ მივიღე მონაწილეობა, ანუ დაარსების დღიდან მისი მონაწილე გარ. პირველ ორ კონკურსში მეორე ადგილი დავიკავე. წელს კიდევ ერთხელ მივიღე მონაწილეობა პირველ ადგილზე გასვლის იმედით და გავიმარჯვე კიდეც.

- როგორ მოხდა შენი საკონკურსო შერჩევა და რა ეტაპები გაიარე სანამ 2010 წლის კონკურსში გამარჯვებული გახდებოდი?

- შერჩევა შემდეგნაირად მოხდა: კითხვები და ტესტები გოეთუს ინსტიტუტის მიერ იყო შედგენილი, ორგანიზება კონკურსს ადგილზე ქართულ-გერმანულმა სახოგადეობა „ედელვაისმა“ გაუკეთა, გია წიკლაურის დიდი მონდომებით და მხარდაჭერით. წელსაც ისევე როგორც წინა წლებში გერმანიის ქართულმა სათვალესტომო და მისმა თავმჯდომარებლერი დათაშვილმა კონკურსში გამარჯვებულისათვის გიმნაზიის მოძებნა და გერმანიაში ყოფნის დროს საცხოვრებელით უზრუნველყოფა საკუთარ თავზე აიღო. ყველა ამ ადამიანის დიდი მონდომების შედეგია, რომ მე დღეს მიუწენდი ვარ. კონკურსი ორი ეტაპისაგან შედგებოდა. პირველი ნაწილი იყო,

წაკითხული და მოსმენილი ტექსტების გაგება. მასში მონაწილეობას 21 კონკურსანტი იღებდა, საიდანაც მეორე ეტაპზე მხოლოდ 12 გადავიდა, ანუ ვინც უმაღლესი ქულები დააგროვა. მეორე ეტაპი იყო უკვე ზეპირი. დაგვყვეს ჯგუფებად, რომელსაც უნდა მოეზადებინა თუმა „წევულებაზე“. ჩვენმა ჯგუფმა გააკეთა “რადიო გადაცემა”, რომლის ფარგლებშიც ვსაუბრობდით წევულებებზე გერმანულ ენაზე.

- საბოლოო შერჩევა რა კრიტერიუმებით მოხდა?

- ქულების მიხედვით, ანუ შეჯამდა ქულები მოსმენილი და წაკითხული ტექსტების და თავისუფლად საუბრის მიხედვით. მე სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ მეორე ადგილზე გასულ კონკურსანტს 5 ქულით ვაჯობე.

- ფიქრობდი კონკურსში მონაწილეობის მიღებამდე გერმანიაში სასწავლო პროგრამით წამოსვლაზე?

- კი და ძალიან მინდოდა. მაშინაც, როდესაც 2 წლის წინ, პირველად მივიღე კონკურსში მონაწილეობა, ძალიან მინდოდა გამარჯვება მომეპოვებინა და სასწავლო პროგრამით გერმანიაში წამოსულიყავი, მაგრამ არ ვიყავი დარწმუნებული რომ ენას ნამდვილად კარგად ვფლობდი. თანდათან ენასაც ვსწავლობდი და სურვილიც გერმანიაში წამოსვლის უფრო მიძლიერდებოდა. რეალურად დავინახე, რომ ამ გზით სახდვარგარეთ სასწავლო პროგრამით წასვლა შემეძლო. ეს სურვილი უფრო გამიძლიერდა მოძღვნო კონკურსში მონაწილეობის მიღების შემდეგ და უფრო სერიოზულად მოვეკიდე სწავლასაც, რისი შედეგითაც ძალიან ბეჭინიერი ვარ.

- რას ნიშნავს შენთვის გერმანიაში სასწავლო პროგრამით ყოფნა? და რატომ არის შენთვის ეს მნიშვნელოვნი?

- აქამდე საქართველოდან არსად არ წავსულვარ, პირველად ვარ საზღვარგარეთ და შესაბამისად, გერმანიაში ჩამოსვლა ჩემთვის ძალიან დიდი მოვლენა იყო. ძალიან მაინტერესებდა, როგორ ცხოვრობდა აქ ხალხი, როგორი იყო აქაური კულტურა და, რაც მთავარია, მინდოდა გამელრმავებინა ჩემი ცოდნა გერმანულ ენაში. მნიშვნელოვანი კი ეს იმითაა, რომ შესაძლებლობა მაქვს გავიცნო ბევრი სხვადასხვა კულტურის ადამიანი, შევიძინო ახალი მეჯობრები, გავეცნო ამ ქვეყანას და საქართველოში ახალი გამოცდილებით და ცოდნით დავბრუნდე.

- გამართლდა შენი იმედები და წარმოდგენები?

- კი, ნამდვილად გამართლდა. გიმნაზიამ ჩემშე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. აქ განსხვავებული სწავლის სისტემაა, ბავშვებიც სხვანაირები არიან. ძალიან კარგად მიმიღეს. ბევრთან ძალიან დავმეგობრდი. ჩემთვის ეს ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო.

- რატომ თვლი, რომ აქ ბავშვები სხვანაირები არიან?

- ძალიან ბევრ განსხვავებას ვხედავ ჩეგნს და გერმანელებს შორის, თუნდაც ყოველდღიურ ცხოვრებაში. ჩვენგან ძალიან განსხვავებული მენტალიტები აქვთ. გერმანულის ენის გარდა, სხვაც ბევრი ვისწავლე მათგან.



მარიამ კაპანაძე

- -ამ გამოცდილების შემდეგ შენს სამომავლო გჯმებს უფრო მეტად უკავშირებ გერმანიას თუ პირიქით?

- კი, ვუკავშირებ. გადაწყვეტილი მაქვს სწავლა საქართველოში სკოლის და უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გერმანიაში გავაგრძელო. ჯერ ზუსტად არ ვიცი ეს რა სახით მოხდება. ალბათ DAAD-ის ან რამე სხვა პროგრამით შევეცდები წამოვიდე გერმანიაში სასწავლებლად. ჩემი სურვილია ისევ მიუნხენში მოხხდე. ამას ორი მიზეზი აქვს. პირველი ის, რომ ქალაქს ვიცნობ და ძალიან მომწონს, მეორე, მიუნხენს გერმანიის მასშტაბით საუკეთესო უნივერსიტეტები აქვს. საერთოდ უცხოეთში სწავლა ძალიან პერსპექტიულია, მითუმეტეს გერმანიაში.

- რა ნახე ისეთი აქ, რაც ძალიან მოგწონა და კარგ მოგონებად გაგვება?

- ძალიან ბევრი რამის ნახვა მოვასწარი ამ მოკლე დროში. მაგრამ განსაკუთრებით “Deutsches Museum”-ი და მისი მომავალის განყოფილება მოგწონა. ასევე უამრავ ლამაზ ადგილზე ვიყავი და ბევრი საინტერესო ადამიანი გავიცანი. ჩემს მოგონებაში მიუნხენი ყოველთვის ძალიან ლამაზად დარჩება.

- როგორ აფასებ პროექტს, რომლიც მონაწილეობა თვითონვე ხარ, ასრულებს თუ არა - ის თვის მიზანს და უნდა გააგრძელოს თუ არა არსებობა?

- ჩემი აზრით ეს ძალიან კარგი პროექტია და აუცილებლად უნდა გაძლიერდეს და გაფართოვდეს. ის ახალგაზრდებს შესაძლებლობას აძლევს სასწავლებლად წავიდნენ სხვა ქვეყანაში, უკეთ შეისწავლონ ენა, გაიცნონ ქვეყანა და მისი კულტურა. ძალიან მინდა რომ კიდევ გაგრძელდეს და ბევრი ახალგაზრდა ჩამოვიდეს საქართველოდან გერმანიაში სასწავლებლად. აქვე მინდა მაღლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომლის დახმარებითაც ეს კონკურენტი შედგა. მათ შორის გერმანიის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარეს ბატონ ლერი დათაშვილს და მის ოჯახს, ჩემი გულთბილად მიღებისა და მასპინძლობისათვის.

ესაუბრა
თინათინ ჩითინაშვილი

ფო

მიუნხენის სართაშორისო გამოფანა „საქართვალო - კავკასიის გული“

მიუნხენში ყოველწლიურად იმართება სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენები. წლევანდელ გამოფენას „მსოფლიო ეკლესიის დღეები“ 14 მაისს მიუნხენში მცხოვრები ქართველი სტუდენტებიც შეუერთდნენ. ამ პროექტს ხელმძღვანელობდა გერმანიის ქართულ სათვისტომოსთან არსებული ტურიზმის განვითარების ჯგუფი, რომლის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის მიუნხენის უმაღლესი სკოლის დამამთავრებელი კურსის სტუდენტ მანანა სამუშაოს.

გერმანიის ქართული სათვისტომოს თანადგომით და მოტივირებულ სტუდენტთა ძალებით პროექტმა წარმატებით ჩაიარა. პროექტი „საქართველო-კავკასიის გული“ საქართველოს ისტორიულ-რელიგიური, კულტურული და ტურისტული კუთხით წარმოადგენდა. სცენაზე ერთმანეთს ენაცელებოდნენ გერმანიის ქართულ სათვისტომოსთან არსებული მომღერალთა და მოცეკვეთა გუნდი „იბერიისის“ წევრები, რომლებიც ასევე თანამშრომლობენ ტურიზმის განვითარების ჯგუფთან.

ქართული ხმის პოლიტონიურობითა და ცეკვით გაოცებული მაყურებელი აღფრთვენებას ვერ მაღავდა. დასასრულს ნაჩვენები იქნა ტურიზმის დეპარტამენტის სარეკლამო ვიდეორგოლი „საქართველო დღეს“.

მაყურებელთა უმრავლესობამ დარბაზიდან ჩენი პარტნიორი ტურისტული კომპანიის „კულტურ-კონტორის“ სტენდისკენ გადაინაცვლა, სადაც მათ შესაძლებლობა მიეცათ დაეგემოვნებინათ ქართული კერძები, ღვინო თუ ჩურჩხელა და სარეკლამო ბროშურების დახმარებით კიდევ უფრო ღრმად გაცნობოდნენ საქართველოს.

კომპანია „კულტურ-კონტორის“ გენერალურმა დირექტორმა, ქ-ნმა დორის ბერმა აღნიშნა, რომ სტუმართა რაოდენობამ მართლაც მოლოდინს გადააჭარბა და იმედი გამოთქვა, რომ ეს ხელს შეუწყობს საქართველოში ტურიზმის განვითარებას.

აქვე დაიგვემა ერთ-ერთი ახალი პროექტი, რომელსაც გერმანიის ქართულ სათვისტომოსთან არსებული ტურიზმის განვითარების ჯგუფი გერმანულ კომპანიებთან ერთად 2 დეკმბერს, მიუნხენის სახელმწიფო ფილარმონიის შენობაში გამართავს.

ლორეტა გოლეთიანი



დიასტოკის დღე 2010

უკვე სამი წელია საქართველოში დიასპორის დღე აღინიშნება. საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით 2007 წელი საქართველოში დიასპორის წლად, 27 მაისი კი დიასპორის დღედ გამოცხადდა. 2010 წელს დიასპორის დღე სიმბოლურად 26 მაისს გაიხსნა და ორ დღეს გაგრძელდა. ამ დღესთან დაკავშირდის ასზე მეტი ქართველი ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან, შევიცარიიდან, ესპანეთიდან, გერმანიიდან, კვიპროსიდან, საბერძნეთიდან, ბელგიიდან, რუსეთიდან, იაპონიიდან, სომხეთიდან, ბელორუსიდან, უკრაინიდან, ყაზახეთიდან, აზერბაიჯანიდან, კანადიდან, თურქეთიდან, ავსტრიიდან, ირანიდან და შვედეთიდან. ვიზიტორთა შორის იყვნენ საზღვარგარეთ მოღაწეე ცნობილი ქართველები: რეჯისორი ლაშა ონიანი და მომღერალი მანანა ჯაფარიძე. დელეგაციის წევრებმა, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში მიიღეს მონაწილეობა.

წელს ქართული დიასპორის დღე სასტუმრო „რედისორში“ გაიხსნა. სამშობლოში ჩამოსულ სტუმრებს დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი პაპუნა დავითაძე მიესალმა. “შიხარია, რომ ჩამობრძანდით, ვფიქრობ, კარგი ტრადიცია მკვიდრდება. ჩვენ გვსურს, რომ ეს ტრადიცია გაგრძელდეს, 26-27 მაისს მთელი მსოფლიოს ქართველობა საქართველოში ჩამოვიდეს, რათ ერთად აღვნიშნოთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, დიასპორის დღე. ისტორიის სხვადასხვა პერიოდში, სხვადასხვა ნებატიური თუ პოზიტიური მიზეზის გამო საქართველოს დიასპორა მთელ მსოფლიოში გაიფანტა. რაც არ უნდა იყოს მიზეზი ამისა, შედეგი ერთია - საქართველოს ჰყავს დიდი დიასპორა - მთელ მსოფლიოში. ჩვენი მიზანია, რომ არ დავკარგოთ უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულებთან ურთიერთობა.“

მისასალმებელი სიტყვის დასრულების შემდეგ მინისტრმა საქართველოს დიასპორის წარმომადგენლები დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ აღლუშე დაპატიჟა. მოგვიანებით კი სამშობლოდან წასულ ქართველებს საქართველოს პარლამენტის თაუჯდომარე - დავით ბაქრაძე, საქართველოს პარლამენტის დამთავრობის წარმომადგენლებთან ერთად შეხვდა. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჯიმში წარიმართა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოისმინეს

ემიგრანტთა პრობლემები და დასახეს მათი გადაჭრის გზები, ასევე იმსჯელეს სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე. დავით ბაქრაძემ ისაუბრა სათვისტომოების მნიშვნელობაზე დღევანდელ რეალობაში და ასევე მაღლობა გადაუხადა მათ რუსეთ-საქართველოს ომის დროს გამოხატული მხარდაჭერისთვის: „საქართველო თქვენც გადაარჩინეთ იმ დღეებში, როდესაც ქართული დროშებით მართავდით თქვენი სამშობლოს მხარდაჭერ აქციებს. მაშინ ამ კადრების დანახვა ძიდი მორალური ძალა, მხარდაჭერა და გამხნევება იყო ჩემთვის“, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ. იმავე საღამოს სტუმრები საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ფოლკლორულ კონცერტს დაესწრნენ.

27 მაისიც ასევე დატვირთული იყო ღონისძიებებით და საქმიანი შეხვედრებით. დიასპორის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს კონფერენციაში და ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდნენ. კონფერენციაზე დიასპორის სამინისტრომ წარადგინა ის სტრატეგია, რომელიც უნდა განხორციელდეს საქართველოს ხელისუფლებასა და დიასპორას შორის. გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები კულტურული და ეკონომიკური მიმართულებით. კონფერენციის ფარგლებში განხილული იყო ბოლო წლებში მიმდინარე ვითარება საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების კუთხით. ქართული და დიასპორის მხრიდან გაედერდა შზადყოფნა ინვესტიციის განხორციელებისა საქართველოში მიმდინარე პროექტებში. ასევე დიასპორის წარმომადგენლები დაინიშნენ საქართველოს საგაჭრო, სამრეწველო პალატის წარმომადგენლებად „თავიანთ“ ქვეყნებში. დიასპორის სამინისტრომ საზღვარგარეთ არსებულ ფოლკლორულ ანსამბლებს, მათ შორის გერმანიის ქართულ სათვისტომოსთან არსებულ ანსამბლ „იბერისს“, გადასცა საცეკვაო კოსტუმები და მუსიკალური ინსტრუმენტები. იმავე დღეს საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში ქართული დიასპორისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა, რომელზეც უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა კულტურული მოღვაწეობისა და ცხოვრების ამსახველი ფოტოები და ექსპონატები იქნა გამოფენილი. ამავე მუზეუმში გაიმართა მე-20 საუკუნეში თურქეთში მოღვაწე დიდი ქართველის, ახმედ მელაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წიგნის პრეზენტაცია. აღსანიშნავია, რომ



ამავე დღეს 31-ე საჯარო სკოლას მიენიჭა ახმედ მელაშვილის სახელი.

დატვირთული დღის ბოლოს, სტუმრებმა ქალაქის ახალი პროექტები დაათვალიერეს. დიასპორის წარმომადგენლებმა მოინახულეს ახლად აშენებული შინაგან საქმეთა სამინისტროს „გამჭვირვალე“ შენობა თბილისში. ამ ექსკურსის ფარგლებში ასევე დაგემილი იყო ქ. რუსთავში ახლად აშენებული საქართველოს შეს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ცენტრალური ოფისის მონახულება. რუსთავში ვიზიტს სიურპრიზის გარეშე არ ჩაუვლია. თითოეულ სტუმარს იმპროვიზირებული საგამოცდო ტესტის „ჩაბარების“ შედეგ საჩუქრად გადაეცა ქართული მართვის მოწმობა და სუვენირი: საკუთარი სახელის შემცველი აეტომობილის სანომრე ნიშანი.

დიასპორის დღებს თან სდევდა ვახშმობა ქართულ რესტორნებში, მათშორის კველაზე შთამბეჭდავი იყო დაბურვის ბანკეტი, რესტორან „მეტეხის ჩრდილში“. საზღვარგარეთ მყოფ ქართველებს საშუალება მიეცათ დაეგემოვნებინათ უგემრიელესი ქართული კერძები და მოესმინათ ქართული მუსიკა. სუფრის წევრებს თამაღობა გაუწია, ყველასათვის საყვარელმა მომღერალმა – ბუბა კიკაძიძემ. სალამო იყო საინტერესო და ემოციებით დატვირთული დღების შთამბეჭდავი დაგვირგვინება.

ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა დადებითად შეაფასეს სამინისტროს მიერ ამ ფორუმის ორგანიზებისთვის გაწეული მუშაობა და დიდი მადლობა გადაუხადეს სამინისტროს აპარატს თბილი და სიყვარულით აღსავს მასპინძლობისათვის.

ნინო ჩხიგვაძე




20 წელი ეპონას სცენაზე

აფიშები, რომლებიც თიბათვისთვის მოიფინა ინგოლშტადტის ქუჩებში ქართული კამერული ორკესტრის ამ ქალაქში მოგვწეობის ოცი წლისთვის იუბილეს გვაუწყებდნენ და არაჩვეულებრივი კვირულის მოლოდინით აღგაფრთხოებუნებდნენ. არც ამ ქალაქის პრესას და ტელევიზიას დაუზოგავს ენერგია და „ჩვენი ქართველების“ პატიჟსაცემად და დასაფასებლად დაუღალევად საუბრობდნენ.

საიუბილეო კვირულის ფარდა ინგოლშტადტის თეატრის დიდ საკონცერტო დარბაზში 18 ივნისს გაიხსნა და მის დაშვებამდე სცენას ქართული სული და გენი ამკობდა. თუმცა ამ საღამოების უშუალო მონაწილეებზე ქვემოთ მინდა შევაჩერო ყურადღება, რადგან მანამდე იმ ადამიანების დვაწლია დასაფასებელი, რომლებმაც ქართული ორკესტრი

ასე შეიყვარუს, გადაარჩინეს და ის დიდება, რომელიც თილისმასავით მისი შექმნის დღიდან დაჭყვებოდა ორკესტრს ასე შეუნარჩუნეს. ეს ადამიანები გერმანელები, ბავარიელები, ინგოლშტადტელები არიან, იმ ქალაქის მკვიდრები, რომლის ქუჩებშიც აგრ უკვე 20 წელია სიტყვა „Georgische“ ამშვენებს ყოველ კუთხეს, აფიშებს, ავტობუსებს, საიუბილეო თუ სადღესასწაულო საღამოებს და რა გასაკვირია თუ ვიტყვი, რომ ამ ქალაქში აგრ უკვე რამდენი ხანია ქართველი თაგაწეული დადის.

„დიდი მაღლობა“ - ასე დაასრულა თვეის სიტყვა ორკესტრის მეგობართა წრის თავჯდომარებ, ბატონ ფრიდემან გოტბერტის საიუბილეო დღისადმი მიძღვნილ მოლოცვაში და ხაზგასმით აღნიშნა, რომ



არა ქართველები, ინგოლშტადტის კულტურული ცხოვრება სიღარიბეს მოიცავდა.

ასევე მნიშვნელოვნად დაფასეს თავიანთ გზავნილებში ინგოლშტადტის ქართული კამერული ორკესტრის მოღვაწეობა ბავარიის პრემიერ-მინისტრმა, ბატონ ჰორატიუს ზევკოფერმა და ქალაქ ინგოლშტადტის მერმა, ბატონ ალფრედ ლემანმა, საქართველოს ელჩმა გერმანიაში, ქალბატონმა გაბრიელა ფონ ჰასბერგმა და საპატიო კონსულმა, ბატონ კლაუს ჰიპმა. კვლავ უდიდესი თანადგომა გამოიჩინეს სპონსორებმა, ფირმა „აუდიმ“ და ბანკ „შპარკასებმ“.

ორკესტრს უამრავი სტუმარი ეწვია, როგორც ქართველი, ისე უცხოელი, როგორც მუსიკოსი, ისე მსმენელი. საიუბილეო კონცერტებს განუმეორებელ სიმშვინიერეს მატებდნენ საქართველოდან ჩამოსული ფოლკლორული ანსამბლი „რუსთავი“, შემდგე მარკუს პომერი, ორკესტრის ყოფილი დირიჟორ-ხელმძღვანელი, რომელმაც ქალაქში ნოსტალგიის გრძნობა გააღვიძა. არაჩვეულებრივი პიანისტი ირმა ისაკაძე და განუმეორებელი მევილიონე ლიზა ბათიაშვილი. დასკვნით კონცერტს წარმოუდგენელი ელფერი შემატა ამერიკიდან მეგობრებთან სპეციალურად ჩამოსულმა სახელგანტქმულმა პიანისტმა ალექსანდრე კორსანტიამ. აგრეთვე აუღრიდა კომპოზიტორ გია ყანჩელის და იოზეფ ბარდანაშვილის ნაწარმოებები. წარმოუდგენელია დიდი პატიჟისცემით არ აღინიშნოს ორკესტრის დირიჟორ-ხელმძღვანელის, ბატონ არიელ ცუკერმანის სულისკვეთება. მთელი ამ ხნის



მანძილზე იგი ბერკეტად იდგა ანთებული ცეცხლის სადარაჯოზე.

მე კვლავ მინდა დაუჭრუნდე კონცერტს, რომელმაც ინგოლშტადტი ერთიანად ააფორიაქა და აღანთო. ეს ანსამბლ „რუსთავის“, გამოჩენა იყო ქართული პოლიტონიური სიმღერების ფენომენით თუ „სულიკოს“ აჟღერებით, განდაგანას, ხორუმის თუ ფარიკაობის შესრულებით. მიუხედავად იმისა, რომ ანსამბლი უკვე არაერთხელ ესტუმრა ქალაქს, მისდამი ცხოველი ინტერესი კვლავინდებურად უსაზღვროა. ეს სასიამოვნო ფაქტი თავად ანსამბლის ხელმძღვანელმაც, ბატონ ანზორ ერქომაიშვილმაც აღნიშნა ჩვენთან საუბარში: „მე მეამაყება, რომ ჩვენ დიდ საქმეს ვაკეთებთ - ქართული სული გამოგვაქვს საზღვარგარეთ. ქართული კამერული ორკესტრი და ანსამბლი „რუსთავი“ თითქმის ერთდაიგივე დროს შეიქმნა, ჩვენი მეგობრობაც მრავალ წელს ითვლის. თითოეული ჩვენი შეხვედრა წარმოუდგენელ სიხარულს მგვრის. ჩვენი ერთად გამოსვლა ჩემთვის ზეიმია. მიხარია, რომ ამდენი წნის მანძილზე არ



დაკარგულა ეს ურთიერთობები.

შეუფასებელია ქართული კამერული ორკესტრის დგაწლი. ისინი თავიანთი მაღალი პროფესიონალიზმით უდიდეს პოპულარიზაციას უწევნ ქართულ კულტურას. დიდი მადლობა ინგოლშტადტს, ქალაქს, რომელმაც 20 წლის იუბილე ასე მაღალ დონეზე აღნიშნა. სამწუხაროდ ამის შესახებ საქართველოში მწირი ინფორმაციაა.

მთელი გულით ვულოცავ ორკესტრს ამ სახელოვან იუბილეს. მართალია, მე ისინი მენატრებიან, მაგრამ ვიცი, რომ დიდ საქმეს აკეთებენ, ამიტომაც შემდგომ წარმატებებს ვუსურვებ ქართული კულტურის საკეთილდღეოდ.“

ასეთივე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პიანისტი ალექსანდრე კორსანტია ქართული ორკესტრის უცხოეთში მოღვაწეობას. მას მიაჩნია, რომ „ორკესტრი საქართველოს ელჩია არამარტო გერმანიაში, არამედ მთელ მსოფლიოში. ისინი მორალურად მხარში უდგანან საქართველოს.“

ჩემი პირველი შემოქმედებითი ნაბიჯები ამ ორკესტრთან არის დაკავშირებული და ბუნებრივია ის დიდი სენტამეტალური გრძნობაც, რაც მე გამაცნა ამ ჯავუფთან მიმართებაში. მათთან ერთად გამოსვლისას მე ბევრად უფრო ემოციურად ვუკრავ.

ჩემთვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ შევენიერ სოლისტების ჯგუფს ყოველთვის კარგი დირიჟორ-ხელმძღვანელები ჰყავდა და ასეა ქლაც. უნიჭიერესი ფლეიტისტი, ბატონი არიელ ცუკერმანი ამავე დროს ძვირფასი ადამიანიცაა. მისი და ორკესტრის ურთიერთობა იმდენად უშუალოა, რომ ეს დიდ ფილოსოფიურ დატვირთვასაც იძენს. გახსნილი ურთიერთობისაგან იძრძვის თანამედროვე ადამიანი და ის, რაც აქ ხდება ამ დიდი პროცესის პატარა ნაწილია.“

ჩვენი უურნალის მკითხველს არაერთხელ პქონია შესაძლებლობა გასცნობოდა ამ შესანიშნავი ორკესტრის სოლისტებს, პირდაპირ მათგან მოესმინათ შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე განცდილი მოგონებები, რომლებიც, დამეთანხმებით, ყოველთვის სიამაყის გრძნობით იყო გამსჭვალული, რადგან იცოდნენ, რომ ისინი საქართველოს სახელის სადიდებლად იღწვოდნენ, ისე, როგორც მუსიკისი ვიტალი სიხარულიძე აღნიშნავს „ჩვენი სცენაზე გასვლის ყოველი მომენტი გვაფიქრებინებს, ზურგს უკან საქართველოა“.

ნინო ცხომელიძე - დეპერშმიდტი

კარმანი სიყვარულითან

ძვირფასო მკითხველო, 4 ივლისს მიუნხენში ჩატარებულ საღამოზე მინდა გიამბი. ამჯერად ორი ქართველი პოეტი — მაია თაბუკაშვილი და ლორეტა გოლეთიანი გვმასპინძლობდა. ზაფხულის შზიან დღეს (ზაფხული და შზე აქ, სამწუხაოდ, იშვიათი კომბინაცია) ამ ლირიკული საღამოს სახით ლამაზი ფინალი ელოდებოდა და მეც ამაღლებული განწყობით შევუერთდი „Aurora-bar“-ში თავმოყრილ პოეზიის მოყვარულთ. მათ, ვინც ამ საღამოს არ დასწრებია მინდა ცოტა რამ მოუყვე მაიასა და ლორეტას შესახებ.

მაია თაბუკაშვილი დაიბადა 1976 წელს ქ. რუსთავში. ის სწავლობდა ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანული ენის ფაკულტეტზე. შემდეგ მან სწავლა გააგრძელა ბამბერგში, ოტო-ფრიდრიხის სახელობის უნივერსიტეტის გერმანისტიკა-ურნალისტიკის ფაკულტეტზე. მაია ნაფიცი თარჯიმანია და სწავლის პარალელურად მთარგმნელობით საქმიანობასაც წარმატება. 2009 წლიდან იგი უძღვება ლიტერატურულ საღამოებს ბამბერგის კინო „Lichtspiel“-ში.

როგორც თვითონ მოგვიყვა, ლიტერატურაზე და პოეზიაზე უზომოდ შეყვარებული დამებსაც ათენებდა კითხვაში და ლექსებსაც წერდა. მოგვიანებით, გერმანიაში ცხოვრების პირველ წლებში, ქართულად მხოლოდ წერილებს თუ წერდა. მერე კი: „... დავბრუნდი და ვხედავ, სიტყვებიც მოდიან, სივრცეში მკვიდრდება მათი მელოდია...“ — წერს იგი 2005 წელს. ორი წელია, მაია გერმანულ ენაზეც წერს.

მაიას მიერ პოეზიის საღამოზე წაკითხულმა ლექსებმა მსმენელი მოაჯადოვა.



მაია თაბუკაშვილი

ლორეტა გოლეთიანს უკვე კარგად იცნობს მიუნხენელი (და არა მარტო მიუნხენელი) მკითხველი. 2007 წელს „ფერტილი დამის“ (ასე ჰქვია ლორეტას ლექსების პირველ კრებულს) წარმატების ერთ-ერთი მოწმე მეც გახლდით.

4 ივლისს საღამოზეც მისი ერთგული მსმენელებისთვის კიდევ ერთ ხელ აქდერდნენ ნაცნობი სტრიქონები „ფერტილი ლამიდან“. ლორეტამ ასევე თავისი ახალი ლექსები, მათი თარგმანები და რამდენიმე გერმანული მინიატურა წაიკითხა. მოგეხსენებათ, პოეზიის თარგმანა როული საქმეა, მაგრამ ეს მას არაჩვეულებრივად გამოივიდა, რაც საღამოზე მყოფმა გერმანელმა სტუმრებმაც აღნიშნეს.



ლორეტა გოლეთიანი

ეს ლამაზი საღამო ასევე დაამშვენა ნინო მარგველაშვილის მიერ აქდერებულმა შოპენისა და რაბმანინოვის ჰანგებმა. დასასრულს მაიამ და ლორეტამ მსმენელთა შეკითხვებს უპასუხეს.

მე არ ლიტერატურისა და პოეზიის კრიტიკოსი, უბრალოდ მინდოდა, გადმომეცა, რომ ძალიან საინტერესო და მრავლისმომცემი იყო ამ ორი პოეტის სამყაროში მოგზაურობა. ჩემი აზრით, ამ ლექსებად ამეტყველებულ ფიქრებს და ემოციებს სიყვარული ჰქვია, სიყვარული-ყველაფრის მომცველი და დამტევი... და სწორედ მასთან ვიყავით იმ საღამოს ყველანი ჰაემანზე.

P.S. საღამო დასრულდა... გარეთ გამოსულებს კოკისპირული წვიმა დაგვხვდა გამცილებლად. ღმერთო, როგორ უხდება წვიმა და ეს ჰაემანი ერთმანეთს.

ნანა გობეჩია.

მეგონა საუკუნების მიღმიდან მესმოდა მისი ხმა. ხმაც ისეთი ჰქონდა, რაღაც უფრო მეტი იყო ვიდრე ძხორციელის ყელიდან ამოსული... თითქოს ეს ხმა სიტყვების გარეშეც საბრძოლველად გეძახდა. თითქოს მისი გულიც მხოლოდ იმიტომ ძგერდა, რომ შენს მკრდჭეშაც აეჩქარებინა სისხლი,

სად არ დაღვრილი... ნადიდგორალი,
ნაშამქორალი...

სახელიც ისეთი ჰქონდა - ძალიან ქართული და უღერადი, ხმადაბლა თქმა რომ არ მოუხდებოდა არაფრით. ამიტომ თუ დაასახელებდი, ომაზიანად უნდა დაგესახელებინა - მუხრან მაჭავარიანი!

ვერც კი წარმომედგინა ახალგაზრდა, მისი სიბრძნე ასაკისა და გამოცდილების შთაბეჭდილებას ქმნიდა, ჯერ კიდევ ათეული წლების წინ, როცა ასაკოვნობამდე დიდი გზა ჰქონდა სავალი. ეს „ასაკი და გამოცდილება“ მის გველაზე აღრეულ ლექსებშიც ჩანდა.


კიდევ ვერ წარმომედგინა მუხრან მაჭავარიანი სახლში, სავარძელში მოკალათებული, მოშვებული და განცხრომილი. ის ხმალივით იყო, რომელსაც ვადაში ჩაგების ჟამი ჯერ არ დასდგომოდა... მისი აზიდული წარბები თითქოს მომართულ და დაჭიმულ სხეულსა და სულს ბოლო შტრიხს მატებდა. მისი სიტყვა მაშინაც კი საბრძოლო ყისინასაყით ისმოდა, როცა ბრძოლის ნიშან-წყალი აღარ ეტყობოდა ისტორიულად ომებით გადაღლილსა და ძლიერი მეზობლის წნებს ქვეშ მოყოლილ საქართველოს.

ის მოდიოდა და თავისი ქართული სისხლი მოჰქონდა, როგორც ჩაუმქრალი ცეცხლი და როგორც საკრალური სწავლება, ისე უნდა გადაეცა შთამომავლობისათვის. მოჰქონდა სისხლი, რომელსაც

„გზადაგზა სვამდნენ
ამღვრევდნენ,
ღვრიდნენ,
უღმერთოდ პრყვნიდნენ,
უგულოდ ჰყიდნენ,
და...
მიუხედავად ამისა, მაიც –
გამოიარა რუსთველის გული,
გამოიარა გახტანვის გული,
გამოიარა თამარის გული,
გამოიარა სულხანის გული“...

საკრალური სწავლება შემთხვევით არ მიხსენებია. გენი და სისხლი, რასაც ასე ხშირად ვახსენებთ ხოლმე სხვა არაფერია, თუ არა ცნობიერება შენი ერის ფესვის ცოდნა-ცნობითა და წინაპრის სიბრძნით ნაკვები. ეს გენებთან ერთად კი გადმოგვეცემა, მაგრამ შესაბამისი სწავლებით თუ არ განმტკიცდა, ისე იკარგება, როგორც პეშვში ჩასხმული წყაროს წყალი.

მახსოვს დაღლილი, გაბრაზებული და



განგებ მდუმარე პოეტი. ის დრო იყო, როცა უკვე საკუთარი თვალით ნახა, იქ, სადაც საქართველოს გადასარჩენი ომი უნდა ყოფილიყო, ერის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო, სულ სხვა მიზნებისთვის დუღდა ცხოვრება.

- როგორ მინდა, გესაუბროთ... - ვუთხარი მოკრძალებით.

- არ შემიძლია! მართლა არ შემიძლია... ვნახოთ, დრო გავიდეს, იქნებ გულმა სხვა მითხრას და მათქმევინოს კიდეც... ახლა რა უნდა ვთქვა?

გარეთ ზაფხულის ხვატი იღა, ქანცაწყვეტილი ქართველი ქალები ვინ იცის რომელი ქვეყნიდან ჩამოტანილი უხარისხო ტანსაცმლით სავსე დიდ ჩანთებს დაათრევდნენ... გადაგვარებამდე მისული უმუშევარი კაცები იქვე დახლოთან ახლოს, სადაც ქალები ჭინჭებითა და ბოსტნეულით ვაჭრობდნენ, სახელდახლო სუფრასთან ისხლნენ და სადღეგრძელოებს აფრქვევდნენ. სუფრა იყო საჯაყი, ისეთი, როგორზედაც ადრე ძლიერ მეზობლებს დაუცინდით - ძხვი, პური და არაყი... ან ლუდი, გამხმარი თუგზი და პურის ყუა...

ქუჩაში გაჭირვებასა და პოლიტიკას დაესადგურებინა, პოლიტიკაში - კეთილდღეობასა და განურჩევლობას.

მას შეძღვებ ლამის ათი წელიც გაფიდა. რა შეიცვალა და რა - არა, მკითხველი თავად მიხვდება. მუხრან მაჭავარიანმაც, მართალია ძუნწად, მაგრამ

ქართველი

რამდენიმე სიტყვა თქვა...

80 წლის იუბილარს პრეზიდენტი ეწვია. მაშინ მთელმა საქართველომ მოისმინა, რა ისურგა პოეტმა - წყარო გამოიყვანეთ ამ ულამაზეს სოფელშიო... ხალხს სასმელი წყალი შორიდან მოაქვსო. წყარო - სიცოცხლისა და სისუფთავის სიმბოლო - სიმბოლურად დაუტოვა მათ, ვისზეც ლოცულობდა: „იარონ, იარონ, იარონ! ამინ!“-ო

სხვა სურვილი ლექსით ჰქონდა ნათქვამი:
„ვერ მიყაღწიე,
ვერ ვეღირსე უკეთუ მიზანს,
ვერ გავისწორე უკეთუ ხოში, -
რა ბედნაა დიდუბის და
მთაწმინდის მიწა!..
თუ სიკვდილია, -
აი, წოლა მესმის შამქორში!“
ოღონდაც საღ შამქორი იყო და საღ „შამქორს“

გვალანდებდნენ, ამისი გარჩევა უნდა შეგვძლებოდა... ვერაფრით წარმოვიდგენდით მუხრან მაჭუგარიანს დაწოლილს, სიკვდილთან შეხვედრის მომლოდინეს... ზეციურმა უკეთ იცის, ვის როგორ დასასრულს მიაგებს. მისი დასასრული რუსთაველის თეატრის სცენაზე დადგა. სიტყვა იყო ხმამაღალი და ომახიანი - ისეთივე, როგორც ძისი სახელი - მუხრან!

81 წლის პოეტი იდგა სცენაზე და მას არ ჰქონდა ასაკი, ვერაფრით დაარწმევდი მოხუცებულს ან ხანდაზმულს, როგორც ამ ხნის აღამიანს ეგება.

იდგა ღროწე მაღლა და ხმალივით
შემართული. მერე შეტორტმანდა და ბოლო
ამოსუნთქება ვიღრე დადგებოდა, ვიღრე დაცემოდა,
სულ რაღაც წამით, მაგრამ მაინც დაიჩოქა...
საქართველოსთვის, ცხადია...
ლელა ჯიყაშვილი

დავმოთ სტულად ვატყებულმ პოლის უკანასკნელ სიცეფას, რომლის წარმოსათვის მიმდინარე ავიდა იგი სცენაზე, მაგრამ მოლომდე ვერ დაასრულა.

„ობილისა, მე რომ
შენან მოვეძო,
სიყვარულით ვიღებ
მდუმარია...
მეც უნდა ვიყო
შეხა პირა,
მე რო ვარებით
შენა სუმისია...“

ასე მიმრთა საქართველოს დედაქალაქის, ნახევრით საუკუნის წინა, ჩერები დარეანდებოდა იუბილების, რომელიც უკეთ კარგი ხსნა, ლიტერატურული პილიტ გახლავი ან მარტინ იმპერატორის, ანამედ მოლომანი საქართველოსა.

წინათაც და დღესაც ყოველი ქედისის ქართველი პილიტ საქართველოსთა დააფიცესებულ:

- ღმიერით სამშობლით მიკუთვნილი.
ძალისაც მისა ვარებული! - ხერიცა ვავა.

- დაებადებულვას, რომ ვიყო მოხა და საქართველოს მედავა უკანია! - წერდა სუმისია.

- სამშობლით არ დაგვარაზედე, სამშობლით უმოარესია! - წერდა ფალაუებინა.

„ოცა გაქისას მინ და გარე
და ცეცხას ჩეგნა გოდებს,
ღმიერით ნე ქნას,
საღმე ქართველს

ქართველის არ უნდოდა!“ - წერის ღმიერით ხსნა.

არად, არამარტ სხვაგან, ამერიკა, იური საქართველოში, სამხებისად, არათ ქართველები, რომელისაც უკანება მანქანით შემონად მისინათ შემონად ქართველობა! (ამის თემა იყო და წილია პილიტის მოვეს. - რედ. რედ.)

მაგრამ, დარებულებული იყო, ღმიერით თავისას მიუწვდომის ყველას, და დღეს არ, - ხელი, ამ ე. წ. ქართველოსავნ, არაც ერთ მარფონს არ ახვდება ზედა ააკა წერეთლის ხათვერით დამურასა! ამართ შეიქმნას შეიქმნას შეიქმნას!

აღისრების ენსრი შესწევს.

ღმიერით ხსნა და სამშენებლის ამ მხრივას:

„მაყვანს ხავარენდა მიუბია,

მაგბი ხასლიანისალურა,

კუნესით დახურულ-დახსათესია,

ასებით დამხრილი,

როგორიც გორგოლას ლექსია

დადგენილური, აგრესული.

ეტმარისად უშერეელობისა და კურალმიტილების ზენისა ღმიერით ხსნა და გამოისახება გამოისახება.

უდალად, „დადგენილურა“ თეა- თონ ღრიძონის შემოქმედებისაც.

ხალხის ზეპირად იჯის მისა მაღლინი ხელობან გამოსული რამერთი სურისებონა.

„მითხვი, როგორის მემღებელი,

ჩემი საქართველი საქართველო,

რამე იმნაირი გამამონა,

გული და კალადლი გამომისელი.

მარე ქრისტე პილიტისა იმის ესოდენ გულის ჩამოწერილი ლექსია.

ღმიერით პროცესში ისევე წრიველი და ელევანტ, როგორიც წერდას:

მარკლისმესუელი მისა რომინ „შეიძლება“ თუ არ, მესკლიმინი იყოს ქრისტელი.

შესსინინგვან მისა მემორიალური ხსნათის წიგნი კომისია ...“

ეტმარის პილიტის მოვეს, მაგრამ დაუცხოებულის ჩერებით ხსნა მოღვაწებების, ჩემს ხელი მეცნიერების დარღვეულის ხსნაში სულით არ გულით ველოცად დახადებიდან 85 წლის- თავს და უკარებები კულავაც მორვალების გაეხსეგისას ქართველი ყაფის გული თავისთა ლექსით თუ პრინციპი.

მუხრან მაჭუგარიანი

15.05.2010 თბილისი

ულალტახილთან მორკინალი მუხრანი

მუხრან მაჭარიანი ყველას უყვარდა და მეც ერთი იმათგანი გახლდით ტრიბუნაზე შემდგარს ღიმილით და ტაშით რომ ვევებებოდი.

ჩამოივლიდა რუსთაველის გამზირზე თვალში შემციცინე პოეტებით გარშემოსარტყელი და თვალგანათებული გამვლელების მზერას გაიყოლებდა.

მისი მადლცხებული ლექსების მოსამენად ისე მოისწრაფოდნენ დაუთვლელი თაყვანისმცემლები, თითქოს ნატვრის სუფრა ყოფილიყოს გაშლილი მწერალთა კავშირში.

გარეგნულად მომღიმარ-მომცინარი გულის შიგნი-შიგან გაუმხელ ტკივილს დაატარებდა. ცხოვრების ჩვეულებრივ კალაპოტში ვერ ეტეოდა და ლიტერატურულ საღამოებზე ყოველი მისი გამოსვლა მსხვერპლის შეწირვის რიტუალს ჩამოგავდა.

იმთავითვე არ ყოფილა მთავრობის მორჩილი და შემცუებელი. ის იყო მოჯანყე და მეამბოხე სული, ჟურნალ-გაზეთებიდან შედამ სისხლდაუმცხრალი რომ ითოვებოდა. მე ვიცნობდი მას როგორც პოეტს, ვისაც თავზე მასხარის ჩაჩი არ მოურგია, ვისაც მამაკაპის ტაძრებში ბრძნული სიტყვა და ლექსის საკურთხი მიქოდა იმედის და სულის გადასარჩენად და ძილდვიძილისგან გამოსვლას ჩასჩიჩინებდა ქართველობას.

მუხრანს ვიცნობდი როგორც უშურველ კაცს, ვისაც ნაღდი ლექსების გადაფურცვლისას ხელები არ ეკრუნჩებოდა და გუნება არ უფუჭდებოდა, ვინც მალემრწმენობისგან შორის იდგა და თავშესაქცევად და მითითებით არც არაფერი შეუთხავს და არც სიტყვა დასცუთნია. ვისაც წილად და იღბლად ერგუნა ფესვი მოეკიდებინა თანამემალულეთა გულებში და ქედდაბებილი ლაბა ხარივით გაწია მძიმეზე მძიმე ჭაპანი რასაც საქართველოს სიყვარული ერქეა.

აღტაცებაში მოვყავდი მის ძმათოყვარეობას და მეგობრობის ნიჭის, ყველას რომ პატრონობდა და გზას უკვალავდა. საკუთარ მხრებზე შემოსმეული რომ გადაყავდა ბეწვის გზაწერილზე, როგორც ვარხვი შემოისვამს ხოლმე ზურგზე ფრენის უმეცარ მწერს თბილ ქვეყანაში გასამგზავრებლად.

მე მხიბლავდა მისი უდალატობა და მიუკრძოებლობა, რომ არ განუდგა ყოფილ საქართველოს პრეზიდენტს, ბოლომდე მისი თანამშრახველი დარჩა და არ ამოშანთა ის რწმენა, რაც ასე სწამდა და სულში ღრმად ქონდა ჩადუღაბებული.

საქციელსწრაფი და აცეტებული მუხრანი არც როდის მინახავს და წლების მერუც გაეხდი მისი

გულის მამაცობის და უშიშარობის მოწმე.

საქართველოს მწერალთა კავშირში ჩემი „მხატვრული ლიტერატურის პოპულარიზაციის“ თავმჯდომარედ ყოფნის დროს, თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში მუხრანთა შეხვედრა გეგმაში შევიტანე და ნოემბრის ბოლო დღეს თელავისკენ გაუტემოვთ.

თბილისიდანვე დავითარსე. მუხრანი რაგან დისიდენტ პოეტად ითვლებოდა ცენტრალური კომიტეტის ლიტერატურული განყოფილების ხელმძღვანელი ჯანბერიძე ყალყზე დადგა და კატეგორიულად მომთხოვა საღამოს გადადება იმ იმედით, რომ შემდგომში თავადვე მივიდოდი იმ დასკვნამდე, რომ მუხრანი გამენაპირებინა და არ შემქვედრებინა მკითხველებთან.

საღამოს ჩაუშლელობისთვის ჯანბერიძის წერომა გამოვიწვიე, რასაც სამდგროზე ჩემი დატუქსება მოყვა. სხდომაზე არც აციათ, არც აცხელათ, გადაჭრით მოითხოვეს გადაწყვეტილებას დაგმორჩილებოდი.

მედიკო გენაცვალე ცოტა ჩვენზეც უნდა იფიქრო, ასეთი სახიფათო ნაბიჯის გადადგმა არ გეკაღრება, ხომ ნახე ცეკაში განვაში ატყდა, მუხრან მაჭარიანი აპოლიტიკური პოეტია. ნურც იმას დაივიწყებ, რომ ზეიად გამსახურდიას ნათლია და მეგობარია და მისი სტუდენტებთან მივგანა სახიფათოა! სიმტკიცე დაკარგული ხმით მისაყვედურა თავმჯდომარე.

კოპებშეკრული მდგრები შუბლევეშიდან შემომყურებლენ და დუმდნენ.

კიდრუ ლიტერატურული საღამოების გამართვა ჩემი კითხულია, მწვანე შუქს მხოლოდ ჭუშმარიტ შემომქმედებს დავუთმობ და არა თვითმარტვიებს. უფლებას არ მივცემ თავს უარი ვუთხრა ქართველ სტუდენტებს, როცა თავიანთ რჩეულ პოეტს თავისთან უხმობენ. ვთქვი სახეგაჭარხლებულმა და გაწიწმატებულმა და რომ არაფერი წამომცდენოდა სკამიდან წამოვდექი და გარეთ გავენთე.

მუხრანისთვის მომხდარი არ გამიმჟღავნებია. ენატანიები და მაბეზღარები მძულდნენ და მათ ვერ მივბაძვდი. ან თქმა რად უნდოდა, თვითონაც კარგად არჩევდა მტერ-მოყვარეს.

მხდალობა არც ჯიშით მომდგამდა, არც ჯილაგით და არც ახლა შევებუე მაშულრებს და შეხვედრა არ ჩავშალე.

ნოემბრის ბოლო დღე იყო. მოწმენდილ ცაზე მწვევლი ჩახახა მზე ენთო, ირგვლივ საოცარი სიმშვიდე სუფევდა და მშევნიერი ამინდით წათამამებულებმა მანქანა გადასახვეთან გავაჩერე და გომბორის გზით შევთავაზე მუხრანს წასვლა.

ბუნებას გარეგნულად უამინდობა არ ეტყობოდა. მოკრიალებულ ლავარდზე ერთი ღრუბლის ფთილაც არ ჭაჭანებდა და ნიავიც კი არსათ ქროდა.

აბა რას ვიგუშანებდით, თუ თრთვილი ასე გალიპავდა შეაღმართს და წინ ასე მოულოდნელა სარეგესავით გაპრიალებულ უღელტეხილს შეგვაგებდა. დაბნეულები ვიდექით და არ ვიცოდით რა მოგვემოქმედებინა. მაინც უგზობას არ შევუშინდით, მანქანები ადგილიდან დავძარით და მთას შევეძერეთ. დიდხანს ვეფალაზებოდით და ხელს არ ვიღებდით გაჯიუტებულ ქედთან ჭიდილზე, მაგრამ ავლოდდებოდით ცოტაზე და უკანვე ჩამოვცურდებოდით, რადგან საბურავები მომველებული იყო, მოჭიდება არ ქონდა და ფქს ვერ იკიდებდა.

მოადგებოდნენ მგზავრები ფერდობის მისადგომს, დაინახავდნენ როგორ ბუქსაობდა ჩვენი მანქანის ბორბლები, ხელს ჩაიქნებდნენ, უხმოდ შეტრიალდებოდნენ და უკაუქცეოდნენ. თითქმის მთელი საათი თავდაუზოგად ვიბრძოდით, მაგრამ ყოველი ჩვენი ცდა ფუჭი გამოდგა და ზემომდე მაინც ვერ ავაღწიეთ.

ვიცოდით, ინსტიტუტში უკვე თავმოყრილები იყვნენ მსმენელები და მოუთმენლად გველოდნენ,

მაგრამ აშკარად ვხედავდი, რომ მდივნების გასახარი საქმე მოხდა და მუხრანის საღამო ჩაშლის პირას მიდგა.

ყინვამ როგორ უნდა შეგვაშინოსო, კიდევ ვცადოთ, იქნებ გადავიდეთ როგორმეო. მე და მუხრანი შევუძახებდით ერთმანეთს და მოტორს აფაუგუნებდით. უცებ ჩვენს იღბალზე, თუ უიღბლობაზე „ვილის“ გამოჩნდა. მძღოლმა მუხრანი იცნო და არც დაფიქრებულა, იმავე წამს ვოლგას ბაგირი ჩააბა და ასაყვანად დატანდა. ბორბლები აბლავლდნენ, აფართხალდნენ და ნელ-ხელა წინ წაიწიეს, მაგრამ მიახლოვებულები გაჩერდნენ და ისევ დაბლა ჩამოქანდნენ. მძღოლმა ვილის თავი ვეღარ დაუჭირა, მუხრანის მანქანას უკინდამ დაეჯახა და ფარები ჩაუმტვრია. მეუღლე და ქალიშვილი ხმის გაუღებლად ისხდნენ, მე კი რაც შემეძლო ვყვიროდი, მოეშვი ორთაბრძოლას, გურჯაანიდან წავიდეთ.

ერთხელაც შევებათო, არ მითმობდა მუხრანი.

ისევ გაქაჩა ბაგირი ვილისმა და კუს ნაბიჯით წავიდა წინ. კარგა მაღლა აიძალეაურეს, მაგრამ შეაღმართი კრიჭაში ედგათ და ვერა და ვერ შეაბეს ეუვანი. არც ის თმობდა ორთაჭიდილს და არც მუხრანი. ნელნელა გაცოც-გამოცოცდებოდნენ მანქანები ყინულზე და უკან ჩამოიმდაბლებდნენ.

მუხლებმოსისტებული და ძრწოლა ატანილი შევურებდი ურჩხულად ნაქცვა ქედს და უცებ

მუხრანის მანქანას თითქოს ნახტომი შეეშალაო, გაქანდ-გამოქანდა და ციცაბოს მიუახლოვდა. წინა თვლები ჰაერში დაეკიდა და ზედ გადაემხო ხახადაღებულ უფსკრულს. მზის ნაბზინი თვალს მჭრიდა, მაგრამ აშკარად ვხედავდი კლდის ქიმზე გადასაჩქად შემდგარ მანქანას. ბაგირი გაწყვეტაზე იყო და არცეროს სული ძირამდე არ დაყვებოდათ რომ გადაცვებილიყვნენ. ის წარბშეუხრელად იჯდა და დუმდა. სეირის მაყურებლები ძრწოლით აღვენებდნენ თვალს კაცის და ბუქების ჭიდილს და ხელის შეშველებას ვერ ახერხებდნენ. ბოლოს ვილისმა იმარჯვამ ფრთხილად გორებ-გორებით გამოახოხა “ვოლგა” და სამშვიდობოზე გამოიყვნა.

ათასცხრაას ოცდაჩვიტმეტ წელს, შუაღამისას მაუზერიანი ჩეკისტების ჩვენს ოჯახში მოხტომის და მამაჩემის ციხეში წაყვანის შემდეგ ეს გახლდათ ჩემი მეორე შიშფეთება და ელდა, სულის გაფრთხობინებას რომ ცოტა დამაკლდა.

მუხრანი როხროხებდა, შენ ალბათ მდივნებმა მოგისყიდეს მუხრანი კლდეში გადააგდეო, მაგრამ შენც რომ უკან მიპირებდი დადევნებას ჯილდოს ვის უტოვებდიო. მეტი გზა აღრ გვქონდა, მანქანები შემოვატრიალეთ და მუკუწის გზით წავედით. ვიცოდით იქ აღარავინ დაგვხვდებოდა, მაგრამ სიტყვა არ გავტეხო და ზუსტად ექვს საათზე, სამი საათის დაგვიანებით ინსტიტუტს მიგადექით.

იმედგაწყვეტილი რექტორი ჩვენს დანახვაზე ქორივით წამოფრინდა და ომიდან დაბრუნებული მხედრებივით სათითაოდ ჩაგვიქრა გულში.

ვიცოდით მოხვიდოდითო, ვილისის მძღოლმა გვითხრა ბევრი ვახროტინება და ვაფუნდრუკე მანქანა, მაგრამ ვერაფერს გავხდიო. რაკი ბედმა იკეთილა დაგადარჩით საღამოს ჩაფლავებას არ ვჩივითო.

აღარ დაგვიყოლებია და ჩვენთვის სავულდაგულოთ მოლამაზებულ სუფრას შემოუცეცქდით. მოშიებული სტუმრები და დამხდურები პურმარილს ეკვეთნენ და ლხინი გაჩაღდა.

სუფრა იყო მეფური, სიმღერები უფრო დიდებული, მუხრანი სუფრის თავში დასვეს ნაბადი წამოასხეს და ყანწი გაუპიპინეს.

ქეიფის ეშხში შესულები ქილიკონდნენ. “მრავალუამიერი” გუგუნებდა, დაბადაგებული ღვინის თასები მაღავებს გადადიოდნენ და მუხრანი მირონცხებულ ლექსებს კითხულობდა.

დრო და დრო, თავში ღვინოგამჯდარი მუხრანის მეგობარი ჯურხა ნადირაძე ყვიროდა, მუხრანი საკურდღლეში არ არის გაზრდილი შეშინებოდათ.

მე კი დაძაბულობის ციებ-ცხელებამ არ გამიარა, დაზაფრული და ნირწმბდარი გავყურებდი ფანჯრებიდან კუკასიონის მწვერვალებს და ვერ

გახერხებდი ერთი წამით მაინც გონებიდან გადამეგდო და დამკიწყებინა ხახალაღებული იფსკრული და უღელტესილთან მებრძოლი მუხრანი.

მუხრანს ვერაფერს გამოაპარებდი. შემატყო უგუნებოდ რომ ვიყავი და ჩემს მანქანაში ჩაჯდომა არ დამახება, თავისთან ჩამსვა და მთელი გზა ხუმრობდა. ხომ მაინც ვერ გადამჩხე კლდეზე და მდივნების დაგალება ვერ აღასრულეო.

თბილისში ჩამოსვლამდე მღეროდა. თვითონაც იცოდა, მომღერლად არ ვარგოდა და ყოველი ჰანგის ჩამთავრებაზე გულიანად ხარხარებდა.

ცოლი იცინოდა, შენი გამხიარულება სურს, თორებ მომღერალ მუხრანს პირველად ვხედავო.

მუხრანს მაინც გული დაწყდა სტუდენტებს რომ ვერ შეხვდა. ეს ერთადერთი შემთხვევა იყო საღამო რომ ჩამეშალა ჩემი ხელმძღვანელობის დროს. არც თუ უმიზეზოდ, მაგრამ თავს მაინც დამარცხებულად ვგრძნობდი, რომ ვერ შევახვედრე ასე გულისფანცქალით და ხარბად მომღოლინე სტუდენტებს ქართველი ხალხის რჩეული პოეტი, ვისი ლექსებიც ზეპირად იცოდა მთელმა საქართველომ.

მედეა კახიძე

ფხა ნიკო გომილათხარის



ამ წერილის წერა მაშინ დავიწყე, შენ რომ ჯერ კიდევ ჩვენთან იყავი, ჯერ იყო და სპეციალში გრახა, მერე შენი ლექსიგმი ჩამივარდა ხელი. ძალიან მინდოდა შენთვის, პირადად შენთვის მეთვა ის, რასაც ახლა გწერ. ახლა კი ჩემი წერილი მოვიდშის მოხდა უფრო, ვიდრე მაღლიერების გამომხაცველი, რადგან სათმები არამიანს ღრმულად უნდა უთხრა, ღრმულად უნდა მოუფერო, თუ რაც მეტი მეტი არათვერთი სთვა, უმრავეს მხარეში ჩახედო, მაღლობა

უთხრა თავის სათმები ასე გთლიანად, ასე ღირსეულად, ალალად და გთლიად რომ გვითხრა. თავისი ლექსებით ცველას განსაკუთრებით მოგვითვრა და ისე წავიდა. სიკვდილსაც ხომ ამორჩვა უყვარს, არა და ის იმაგი ღრეულია ვიდრე ტომელიმე ჩვენთაგანს შეუძლია წარმოიდგინოს.

თბილისს ერთი ლამაზი კაცი დააკლდა.

**მარინა აბრამიშვილი
შცეცვარცი**

ყვანელის ქანკი

თიხა დაჭამიშვილი

(ბაბრძოლება)

ფრიდრიხი შემოვიდა, ფეხსაცმელები შემომიტანა და მითხრა, რომ ათ წუთში მზად უნდა ვყოფილიყავი. სწრაფად გამოვიცვალე ტანსაცმელი. მერე აბაზანაში შევედი და თმები მოვიწესრიგე. აქ სარკე არ იყო. საერთოდ, ტყვების ადგილსამყოფელში, მინა, აგრეთვე წვეტიანი და ბასრი საგნები აკრძალული იყო.

ფრიდრიხმა შემათვალიერა.

— წამომყევი, — მითხრა და წინ გამატარა. ოთახიდან გავედით კარებთან მდგარი ჯარისკაციც გამოგვევა.

გრძელი დერეფანი გავიარეთ. მარჯვნივ მოუხვიერ. დიდი დარბაზი გამოჩნდა. ფართოდ გაღებული კარიდან მოისმოდა სიცილის, საუბრის, ბროლის ჭიქების წკარუნის ხმა. დარბაზში უზარმაზარი გაბრდლვიალებული ჭალი ეკიდა. მამაკაცებში მუნდირიანი ადამიანები ჭარბობდა. სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული თითო-ოროლა თუ იყო.

ქალები თავიანთი ჩაცმულობით ბრწყინვალენ. ლამაზი საღამოს კაბები, ძვირფასეულობა, რომელიც ჭალის შუქწე ირეკლებოდა და უამრავ მანათობელ წერტილებად ციმციმებდა.

ამ სურათის შემხედვარე მნელი იყო იმის დაჯერება, რომ ახლა ომი იყო. რომ იღუპებოდა ყოველდღიურად ათი ათასობით ადამიანი... ნადგურდებოდა ქალაქები, სოფლები...

აქ შეკრებილ ადამიანებს არ ადარდებდათ არაფერი. ისინი მხიარულობდნენ და არაფრად აგდებდნენ ტრაგედიას, რომელიც შათო თაოსნობით იყო გაჩაღებული.

ხალხს ნაცნობი პენსიანი გამოეყო და ფრიდრიხს მიუახლოვდა და რაღაც უთხრა. მსახურმა თავი დაუქნია.

— როცა განიშნებს ობერშტურმანფიურერი შულცი, მაშინ დაუკარი, გასაგებია?

— დიახ, — დავუქნიე თავი.

უცნაური გრძნობა ამეკვიატა. თითქოს არალეარულ გარემოში მოვხვდი. ვიდექი

კარებთან და ვერ გამეგო, როგორ შეიძლება მხიარულობდე, ცეკვულე, იცინოლე, როდესაც ყოველდღიურად ამდენი ადამიანი იღუპება! ესენი ისე იქცვიან, თითქოს სხვა პლანეტაზე ცხოვრობენ და მათ არ ქებათ არაფერი, რაც გარშემო ხდება.

გაოგნებული ვიდექი. უცებ სტუმრების ჯგუფს ობერშტურმანფიურერი გამოეყო და ფრიდრიხს ჩემზე მიანიშნა.

ფრიდრიხმა გამაფრთხილა, რომ გრიგის და ლისტის გარდა სხვა არაფერი არ დამეკრა.

თავი დავუქნიე და როიალისაკენ წავედი. სტუმრები მთვრალი სახეებით მიცემოდნენ და ისე მათვალიერებდნენ თითქოს სხვა სამყაროდან ვიყავი მოსული.

როიალთან მივედი. ესეც ბეკერის ფირმის იყო. თეთრი საკონცერტო როიალი. დავჯექი სკამზე და თვალი მოვალე აუდიტორიას. ზოგი საუბრობდა, ზოგი შამპანურს წრუპავდა. დავიწყე დაკვრა. ვერავის ვეღარ ვამჩნევდი. დავრჩით მე და მუსიკა. თითქოს, ყველა კადრს მიღმა დაიმალა...

დაკვრა დავამთავრე. თავი მაღლა ავწიე. ისევ ჩვეული სიტუაცია იყო. ყველა თავისი საქმით იყო გართული. აპლოდისმენტები არ ჩანდა. მხოლოდ ერთმა გამოიმეტა ჩემთვის ტაში. ეს იყო ქერათმიანი, ძალიან გამხდარი გოგონა. სტუმრებმა გაპვირვებული სახეებით გადახედეს მას. ობერშტურმანფიურერი საგარძელები იჯდა ჩაფიქრებული. მერე ფრიდრიხს მიუახლოვდა და რაღაც უთხრა.

ფრიდრიხმა ხელით მიხმო და დარბაზიდან გამიყვანა.

ჯარისკაცი და ჭალარა მსახური ჩემს თოახამდე მომყვნენ.

— შედი, — მითხრა ფრიდრიხმა.

ოთახშიშევედი. ჯარისკაცმა კარიმომიხურა. საწოლზე ჩამოვჯექი. გასაგები იყო რატომ არ დამიკრეს ტაში. ტყვეს აპლოდისმენტებით არავინ დააჯილდოვებს, მხოლოდ ქერა, გამხდარმა

გოგონამ გამოიმეტა. და როგორი შექრით დაჯილდოვეს იქ მყოფებმა.

კარი გაიღო და ფრიდრიხი შემოვიდა. ფოლადისფერი სინით ჩაი და ბუტერბროტი შემომიტანა. მაგიდაზე გადმოაწყო და გავიდა. ჭიქა ნიკელის იყო, უყურო.

რატომლაც ფრიდრიხის მიმართ სიძულვილით არ ვიყავი განწყობილი. პირველი ადამიანი იყო ბანაკში ყოფნის დროს, ვინც ადამიანურად მექცეოდა. არ მიყვიროდა, არ მცემდა, არ მამცირებდა.

ჩაი დავლიე და დასაძინებლად დავწექი. ვერადავერ დავიძინე. თვალებწინ სულ სტუმრების სახეები მეღდა თვალწინ. მათ არ ისურვეს ტყვეს მიერ შესრულებული მუსიკის მოსმენა და დაკვრის განმავლობაში საუბარი არ შეუწყვეტიათ. მხოლოდ ობერშტურმანფიურერი მისმენდა სავარძელში გარინდული და კიდევ ის ქალიშვილი...

გამოუნისას დერუფანში ფეხის ხმა გაისმა, რომელიც ჩემს ოთახს უახლოვდებოდა. კარიც გაიღო. ფრიდრიხი იყო.

— ადექი, მოწესრიგდი. ობერშტურმანფიურერი გეძახის.

სმოკინგს მივარდი, მეგონა სტუმრებთან მივყავდი ისევ.

— ეგ არ გინდა. ეს ჩაიცვი, — ტილოს ტანსაცმელზე მიმითითა.

სწრაფად გადავიცვი. გული მიკანკალებდა. ვაითუ ჩემი დაკვრა არ მოწინაათ და დასასჯელად მივყავართ. ფეხსაცმელში ძლივს ჩავდგი ფეხი.

ფრიდრიხმა შენიშნა ჩემი შიში. მან თავი გააქნია და ტუჩების კუთხებით გამიღიმა.

მივხვდი, რომ დასჯა არ მეღოდა. მშვიდად ამოვისუნთქე. აბაზანაში შევვარდი და თავი მოვიწესრიგე.

— სწრაფად, — მითხრა ფრიდრიხმა და კარი გააღო. მე წინ გამიშვა.

— პირდაპირ, — მაძლევდა გზადაგზა მითითებებს, — მარცხნივ, მეორე სართულზე.

მუხის კარების წინ გავჩერდით. ფრიდრიხმა დააკაკუნა. შიგნიდან ხმა გაისმა. ფრიდრიხმა შემიყვანა.

ეს ოთახი ობერშტურმანფიურერის მუხით მოპირკეთებული კაბინეტი იყო. კედლები თაროებით იყო დაფარული სადაც უამრავი ძვირფასყდიანი წიგნები ეწყო.

— თავისუფალი ხარ, — უთხრა ფრიდრიხს. მერე მე მომიბრუნდა და ხელით მანიშნა მომყვით. თაროებს შორის მოთავსებული კარი გამოაღო და ნათელ ოთახში შემიყვანა. აქ შავი როიალი და რამდენიმე სავარძელი იდგა მხოლოდ.

თვითონ სავარძელში ჩაჯდა, შემომხედა და მითხრა:

— რახმანინოვი.

მე სკაშე როიალთან დავჯექი და დავიწყე დაკვრა. დაახლოებით ორი საათი განმავლობაში გუკრავდი რახმანინოვს. ობერშტურმანფიურერი ყოველი ნაწარმოებების დამთავრებისას იძახდა. ერთიდაიგთვე სიტყვას: „კიდევ”.

ბოლოს წამოდგა, ოთახიდან გავიდა. მის მაგიერ ფრიდრიხი შემოვიდა და ჩემს ოთახში წამიყვანა.

— ობერშტურმანფიურერი აქ გტოვებს. მებაღის დამხმარებ იმუშავებ, — მითხრა ფრიდრიხმა.

ამის შემდგომ კვირაში ორჯერ-სამჯერ საღამობით შულცისთვის ვუკრავდი. მან მაჩვენა თარო, საღაც უამრავი ნოტები იყო, გარდა იმ კომპოზიტორებისა, რომელიც შერისხული ჰყავდა ფიურერს. უფლება მომცა ფრიდრიხის თანხლებით, ნებისმიერ დროს მოვსულიყავი და მესარგებლა ნოტებით.

* * *

ერთ საღამოს, როდესაც შულცთან ავედი დასაკრავად, ოთახში ის გამხდარი, ქერა გოგონა დამხვდა, რომელმაც ტაშით დამაჯილდოვა.

მას ცისფერი კაბა ეცვა. ძალიან თეთრი კანი ჰქონდა. სავარძელში იჯდა.

შესვლისას, მას თავი დავუკარი და ინსტრუმენტთან დავჯექი.

ობერშტურმანფიურერიც სავარძელზე დაჯდა.

— მამა, მეც მომასმენინეთ რახმანინოვი.

მამამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და მითხრა:

— რახმანინოვი.

ეტიუდი-ჩანახატი დო-მაჟორი აგირჩიე. ის იყო დაგამთავრე, კაკუნი გაისმა. ადიუტანტი შემოვიდა და მოახსენა ოფიცერს, რომ შტაბში იძარებდნენ.

შულცმა ფრიდრიხს უხმო და ჩემი თავი ჩააბარა.

მეისევ ჩემს ოთახში წამიყვანეს. ფრიდრიხმა მაუწყა, რომ ხგალიდან ჩემს მოვალეობას შევუდებოდი.

სამუშაოს დილით ადრე ვიწყებდი. ჩემი მოვალეობა იყო, ყოველდღე ეზოს დასუფთავება. მებაღემ, რომლის თანამემწევი ვიყავი, რუსული არ იცოდა. მუნჯურად მაგებინებდა ყველაფერს, თუმცა ბევრი სალაპარაკოც არ ჰქონდა.

ყოველ დილით, მზე რომ ამოვიდოდა, ობერშტურმანფიურერის ქალიშვილი სასეირნოდ გამოდიოდა. მე ამ დროისთვის ვამთავრებდი ეზოს დასუფთავებას.

ემა, ასე ერქვა ქალიშვილს, შეხვედრისას სალამზე არასოდეს მპასუხობდა, მხოლოდ ოდნავ შესამჩნევად მიღიმოდა. კეთილი სახე ჰქონდა, წყლიანი ცისფერი თვალები.

იგი დიდხანს რჩებოდა ეზოში. როცა დაიღლებოდა, მერხზე ჯდებოდა. ერთსადაიგივე დროსმოდიოდამაღალიმკაცრიგამომეტყველების ქალი და მისთვის ჭიქით წყალი და რაღაც მიქსტურა მოჰქონდა.

ერთხელ საღამოს ფრიდრიხი მესტუმრა და „საკონცერტო ოთახში“, ასე ვუწოდებდი კაბინეტის მიმდებარე ოთახს, წამიყვანა.

მეგონა, როგორც ყოველთვის, ობერშტურმანფიურერი დამხვდებოდა. მაგრამ, მის ნაცვლად ემა დავინახე.

მან ფრიდრიხი დაითხოვა. მერე მე მომმართა.

— მე ძალიან მომეწონა თქვენი შესრულება. ხომ ვერ მომასმენინებდით შოსტაკოვიჩის რომელიმე ნაწარმოებებს, — სუფთა რუსულით მომმართა.

მე დავიბენი, საიდან უნდა სცოდნოდა ასე კარგად რუსული ენა.

— თქვენ ალბათ გიკვირთ საიდან ვიცი რუსული ენა ასე კარგად. მე ბებია, დედაჩემის დედა მყავდა რუსი. რომანოვების გვარის იყო.

უცებ, ხელი გულზე მიიდო და ღრმად ამოისუნოთქა.

— შოსტაკოვიჩის პრელუდია და ფუგა მოვისმინე რადიოთი, მე მგონი სი-მაჟორი, წაგიძლერებთ, — წაიღიღინა მელოდია. მე მივხვდი რომელიც იყო და დაკვრა დავიწყე. ზუსტად ეს პრელუდია და ფუგა დაგუკარი თერთმეტი წლის წინ, მისაღებ გამოცდაზე.

ნაწარმოების დაკვრა დავამთავრე. ემა გაუნდრევლად იჯდა.

— დიდი კომპოზიტორები გყავთ. აქ საშუალება არ გვაქვს, რომ ამ კომპოზიტორების ნოტები შევიძინოთ... თქვენ, ლაპარაკზეც და გარეგნობაზეც გემჩნევათ, რომ რუსი არა ხართ.

— დიახ, სწორად შენიშნეთ, მე ქართველი ვარ.

— ქართველი?

— დიახ, კავკასიაშია საქართველო. ორი ზღვის შუა.

— რა გქვია?

— ანდრო.

— ლამაზი სახელია, ანდრო — გაიმეორა.

— დიდ ხანს გავჩერდი, — რაღაც გაახსენდა,

— ფრიდრიხ, — დაიძახა.

ოთახში მოსამსახურე შემოვიდა.

— მე წავედი, — უთხრა ემამ და სწრაფად დატოვა ოთახი.

ამ დღის შემდეგ ხშირად მიბარებდა „საკონცერტო ოთახში“, ვუყვებოლი საქართველოზე, მის ისტორიაზე. ინტერესით მისმენდა. ერთხელ მითხრა:

— ძალიან მტკიცავ გული, რომ ჩემმა ქვეყანაში მოი დაიწყო. არ გწევინოთ როდესაც დილის სეირნობის დროს სალამზე არ გპასუხობთ. აქ ცოტასხვაწესებიადადაუმორჩილებლობისათვის მკაცრი საჯელია. ხშირად, ზოგიერთუბი, ვიქცევით ისე, როგორც არ გვსურს... მაგრამ ჩვენი თავი ჩვენი ნება არაა...

ნაღვლიანი სახით ფანჯარას გახედა და გააგრძელა:

— ამ საღამოს კონცერტების შესახებ, ფრიდრიხის მეტმა არავის არ იცის. მამაჩემს ძალიან უყვარს მუსიკა. იგი მიუნხენის კონსერვატორიაში სწავლობდა. მაგრამ მამამისმა სამხედრო საქმე ირჩია და აიძულა შვილი სამხედრო აკადემიაში ესწავლა. ეს არ იყო მისი მოწოდება...

— ძნელია, როდესაც პროფესიას სხვა გირჩევს და საკუთარი მისწრაფების გამოვლინების საშუალებას არ გაძლევენ.

— გეთანხმებით. მე წავალ ახლა. ნახვამდის, მითხრა ემამ და მერე ფრიდრიხს გასძახა.

— ფრიდრიხ, მე წავედი!

ამ დღის შემდეგ ორი კვირა გავიდა. არავის, არც ემას და არც მამამის აღარ დავუძახივარ.

დილაობითაც ვეღარ ვხედავდი ემას. ფრიდრიხს შევეკითხე, და მან ჩვეულისამებრ, დუმილით მიპასუხა.

ალბათ, სადმე გაემგზავრნენ, გავიფიქრე.

სიმართლე, რომ გითხრათ მენატრებოლა ემას ნახვა. ის ერთადერთი ადამიანი იყო ვისთანაც ვსაუბრობდი, ვისთანაც მიხაროდა ყოფნა. “საკონცერტო ოთახში” ასვლისას ყოველთვის ვნატრობდი, რომ ემა დამხვედროლა, რაღან ხშირად ჩემი მსმენელი შულციც იყო.

ზამთარიც გავიდა, გაზაფხულმა სითბო მოიტანა. ახლა ბაღში ბევრი სამუშაო იყო. დღე ეზოს ვასუფთავებდი, მებაღეს ნარგავების მოვლაში ვეხმარებოლა, საღამოობით ჩემს ოთახში ფორტეპიანოზე ვუკრავდი...

ერთ დღეს ფრიდრიხი შემოვიდა. ნაღვლიანი სახე ჰქონდა.

— წავედით მაღლა.

გამჭარდა. ნეტავ, ემა იყოს. ვეღარ მოვითმინე და შევეკითხე:

— ემა?

ფრიდრიხმა თავი დამიქნა ნაღვლიანი გამომეტყველებით. “საკონცერტო ოთახში” შევედი. დღიანზე წამოწოლილი ემა დამხვდა, გაცრეცილი, გამხდარი სახით.

ემამ ფრიდრიხი გაუშვა. მერე მე მომიხმო.

— საგარელი მოსწიე და ახლოს დაჯექი.

ემას ბრძანება შევასრულე. ქალიშვილმა გამიღიმა და მითხრა:

— ძალიან მოქნატრა შენთან საუბარი.

მერე ჩემი ხელი აიღო და მომეფერა.

— მე შენთვის სურპრიზი მაქეს. ფირსაკრავი მოვატანინე აქ. შიგ ფირფიტაა. მოვუსმინოთ.

ავდექი, ფირსაკრავთან მივედი. ფირფიტას დავაკვირდი. ფეხები ამიკანკალდა. ქართული ხალხური სიმღერები!

— საიდან მოხვდა აქ! — წამოვიძახე გახარუბულმა.

— ამ ჩემი ავადმყოფობის გამო შევიცარიაში ვიყავი და იქ ქართველი ემიგრანტი გავიცანი. მან მაჩუქა ეს ფირფიტა... — ლაპარაკი უჭირდა, ძალიან მისუსტებული იყო, — ჩართე..

ოთახში „ჩაკრულო“ გაისმა, ამას მოყვა „ოდოია“, „ურმული“, „შენ ხარ ვენახი“... ხარბად ვისმენდი მშობლიურ ხმებს.

— ძალიან მდიდარი ერი ყოფილხართ როგორ მინდა შენი ქვეყნის ნახვა...

შვლის ნუკრის თვალებით შემომხედა. მაგრამ...

— დამთავრდება ომი და თუ ცოცხალი გადაურჩი, მოგნახავ და წაგიყვან ჩემს ქვეყანაში.

ემას გაეცინა:

— ვინ გაიმარჯვებს?

— რა თქმა უნდა ის, ვინც მართალია ამ ბრძოლაში.

— იმედი მაქეს, — ჩუმად ჩაილაპარაკა, — მერე დაამატა, შეგიძლია აქ ამოხვიდე ნებისმიერ დროს და მოუსმინო ამ ფირფიტას. ფრიდრიხი მოგაცილებს-ხოლმე.

— გმადლობ.

— ახლა კი, ის ნაწარმოები დამიკარი, რომელიც გსურს მე მომიძღვნა.

როიალთან მიევდი, სახურავი ავხადე და დებიუსის „მთვარის შუქის“ დაკვრა დავიწყეთან ემას თვალს არ ვაცილებდი.

ემას თვალებიდან ცრემლები სდიოდა, მიყურებდა საოცარი თვალებით. ამ თვალებით სიყვარულზე მელაპარაკებოდა... მერე წამოდგა, ნელა მომიალოვდა. დაკვრა შევწყვიტე. თავზე ხელი გადამისვა და მითხრა:

— ახლა რასაც გეტევი, ალბათ სხვა დროს ამის თქმა გამიჭირდებოდა. მიყვარხარ, ძალიან მიყვარხარ. შენ პირველი ადამიანი ხარ, ვინც მე შემიყვარდა...

გაოგნებული ვისმენდი.

— იცი რატომ მეადვილება ამის თქმა? იმიტომ რომ...

ტირილი წასკდა. წაბორძიკდა. ხელი წელზე მოვკიდე.

— მე ავად ვარ. ეს ოთხი თვეც სამკურნალოდ ვიყავი წასული. სად არ ვყავდი მამაჩემს... მაგრამ ვერ მშველიან. განწირული ვარ. ჰოდა, მე უფლება მაქეს გითხრა, რომ მიყვარხარ...

უჭირდა ლაპარაკი. დივანზე დავაწვინე და მე იქვე ჩავიჩოქე.

— არ, შეგეშინდეს, გადამდები არაა...

ხელი თავზე გადამისვა.

— ახლა წადი. დავიღალე... ფრიდრიხს დაუძახე.

გაბრუებული გავედი ოთახიდან. ახლა მივხვდი ფრიდრიხის სევდის მიზეზს. ოთახში დავბრუნდი. ადგილს ვერ ვპოულობდი. დილით ეზოს დასუფთავებისას სულ მაღლა, ფანჯრებისაკენ ვიხედებოდი, იქნებ ემასათვის

ქართული

მომეკრა თვალი. ემა არ ჩანდა.

ერთი კვირის მერე, ფრიდრიხმა კვლავ ამიყვანა “საკონცერტო ოთახში”. ემა დაშვედა. თვალის უპები უფრო ჩაშვებიყო, სახეზე მიტკალივით ოეთრი ფერი ეღო. ჩემს დანახვისას ძლივს გაიღიმა. მთხოვა ახლოს მიესულიყავი. ხელები მომხვია, წამოიწია, სახე ჩემს სახესთან მოიტანა ახლო. ანგელოზივით ლამაზი იყო. ხელი მოუხვიე და ჩვენი ტუჩები შეერთდა. მერე თითქოს შეკრთა, უკან გაიწია და მთხოვა:

— ცოტა ხანს არ გაინძრე, მინდა გიყურო. შენი ხატება მინდა წავილო თან. იმ ცხოვრებაშიც მინდა მახსოვდე. ძალიან მიყვარხარ... — ტირილი აუგარდა, — სიცოცხლე მინდა, რაც შენ გაგიცანი, უფრო ძალიან მინდა.... მაგრამ, ალბათ ჩემი ბედი ასეთია.

ტირილში გაეცინა.

— შენ აღარ გეკითხები, გიყვარვარ თუ არა, მე იმითაც ბედნიერი ვარ, რომ მე მიყვარხარ. მოლი ჩემთან... უკანასკნელად გაკოცებ.

უხმოდ აუტირდი ცრემლები ღაპაღუპით ჩამომდიოდა, ემამ ცრემლები ხელის გულით მომწინდა და ლოფაზე მაკოცა.

— ემა, — ხმა მიკანკალებდა, — ემა მიყვარხარ...

ემას სიხარული გადაეფინა სახეზე.

— რა ბედნიერი ვარ! შენს ენაზე მითხარი ეგ სიტყვები.

მე ქართულადაც გავუმეორე.

— ახლა ექიმი უნდა მოვიდეს. ჩემს ოთახში გამიყვანენ. მშვიდობის არ გეტყვი, ეს სიტყვა შემჯავრდა. ნახვამდის, იმედია, ნახვამდის... წადი ქხლა. ფრიდრიხ, შემოდი.

ძლივს წამოვდექი ფეხზე. ფრიდრიხს გავყვით.

* * *

მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. მოუთმებლად ველოდი, როდის მეტყოდა ფრიდრიხი: წავედით მაღლა, მაგრამ ამაოდ ეზოშიც, თვალს არ გაცილებდი ფნჯრებს.

ერთ დღესაც ფრიდრიხი შემოვიდა და მითხრა, რომ ემა აღარ არის... ამ სიტყვების გაგონებისას გავქვავდი. ვერ გავიგე, როდის გავიდა ოთახიდან ფრიდრიხი... ვერც ის აღვიქვი, რამდენი ხანი ვიდექი ასე გაშეშებული. მეორე დილით მებაღეს ვთხოვე ყვავილების დაკრეფის

ნება. უარი არ უთქვამს. პატარა თაიგული გაგაკეთე. ყვავილები, პატარა, ემასავით ნაზი შევარჩიე.

ფრიდრიხს ვთხოვე ემას ცხედართან მიეტანა. მე არ მიმიშვებდნენ იქ.

ფრიდრიხმა, არ მიპასუხა, საღლაცას წავიდა, მერე დაბრუნდა და თაიგული გამომართვა. მივხვდი, რომ შულცს დაეკითხა.

* * *

ამის შემდეგ ხუთი თვე გავიდა. მე ყოველდღე ავლიოდი “საკონცერტო ოთახში” და ემასთვის ვუკრავდი... ობერშტურმანფიურერ შულცს ემას სიკვდილის შემდეგ არ უთხოვია ჩემთვის დაკვრა.

შემოდგომის ერთ დღეს ფრიდრიხმა ეზოში ჩამიყვანა, მანქანაში ჩამსვა. საჭეს თვითონ მიუჯდა.

შეკითხვას ვერ ვბედავდი. ვიცოდი, რომ ის მაშინ იტყოდა თავის სათქმელს, როცა საჭირო იყო. დიდხანს ვიარეთ, გზაზე რამდენიმე პოსტი შევგხვდა. ფრიდრიხი საბუთებს აჩვენებდა და მანქანის შემოწმების შემდეგ დაუბრკოლებლივ ვაგრძელებდით გზას. ბოლოს ერთ პატარა ქალაქში გავჩერდით. სასტუმრო “ჰერცში” დავბინავდით. სამი დღე აქ ვცხოვრობდით.

მეოთხე დღეს ისევ მანქანში ჩამსვა და გზა განვაგრძეთ.

— ახლა შვეიცარიის საზღვართან მივღივართ. ბილიკს გაჩვენებ და პირდაპირ დაუყები. იქით მხარეს კაცი დაგვხდება და ყველაფერს ის მოაწესრიგებს. დანარჩენი უკვე შენ იცი.

გაოგნებული ვუსმენდი.

— ეს ბატონი შულცის ბრძანებაა... ემას საბოლოო თხოვნა იყო. აი, მოვედით. ახლა გადადი და ლმერთმა გიშველოს.

მანქანიდან გაღმოვედი, ფრიდრიხმა ხელი გამომიწოდა დასამშვიდობებლად და თვალებში ჩამაცერდა.

მერე მხარზე დამკრა ხელი და მითხრა:

— დროა. სწრაფად იარე. ყველაფერი კარგად იქნება.

— გმადლობ...

— გეყოფა ლაპარაკი. აი პასპორტი, ეს კი ფული, მშვიდობით, — მითხრა და მანქანისაკენ წავიდა.

თუმთან

თბილისელი მამაკაცი ჩადის ოზურგეთში და
გამვლელს ეკითხება:- უკაცრავად სამშობიაროში
როგორ მოვხვდები? გურული პასუხობს:-
სამშობიაროში რო მოხვდე ორსულად უნდა იყო არ
იცი?

ებრაელმა გამყიდველმა ინატრა, ნეტა გურული
მაყიდინა თავის ფასში და გამაყიდინა იმ ფასში,
თვითონ რაც გონია რომ ღირსო.

გურული ბაზარში ყიდდა ლობიოს. ერთმა
მყიდველმა ჰკითხა:
-გურულია თქვენი ლობიო? გურული ლობიო მინდა.
-კი, ბატონო. -უპასუხა გურულმა.
-ნამდვილად გურული ლობიაო? -ხელმეორედ
ჩაეკითხა მყიდველი.
-გურულია, ბატონო და ახლა მე თქვენი
გულისთვის ყაბალახს ვერ დავახურებ თავზე.

გურიაში დედა ეძახის შვილს:

- ბონდოიე, სა მიხვალ? დუმილი. - ბონდოიე, სა
მიხვალ თქა? პასუხი ისევ არ ისმის.
- ბონდოიე, შენ გეკითხები, გამეცი პასუხი სა

მიხვალ?

- იქინე.
- ვერ იტყვი მერე?!

გურული მოყვა სეტყვაში, თავი გავესო კოპებით, თან
ჭექა-ჭუხილიც ზედ დაერთო. გამწარებულმა
გურულმა შეიცხადია: ხო რამენაირად, კარგად
გოუნათე არ ამაცილოსო.

სეანს ეკთხებიან:

- გუშინ შენი კატა ასე საშინლად რატომ ჭყაოდა?
- იმიტომ, რომ ვბანდი.
- შენ ვის ატყუებ? მეც მყავს კატა და მეც ვბან,
მაგრამ ასე არ ჩხავის. - შენ ალბათ არ წურავ.

სეანს სამსახურში იღებენ. სეანი ეკითხება:

- აქ სეანები მუშაობენ?
- არა, - უპასუხეს.
- გავიდა დრო, სეანს ამოწმებენ. შევიდნენ ოთახში და
სეანს ფეხები მაგიდაზე აქვს შემოწყობილი. ჰკითხეს:
- რატომ არ მუშაობ?
- თქვენ არ მითხარით, აქ სეანები არ მუშაობენ?
- უპასუხა სეანმა.



**Bayerische Staatsoper
Nationaltheater München**

Medea in Corinto

IANÖ TAMAR
als
MEDEA

7.10 bis 9.10

ერმანის ქალთულის საზოგადოებრივი ცენტრის სალოო

შახათ 6 სოფტები 14.00 სათისა 22.00 სათამებურთ
ერმანის ქალთული საზოგადოებრივი 65 წლის სიუბილეური სალოო.

სიუბილეური სალოოზე ცეკვამისათვის შეაძლიათ ისილონ ყნიკალური საპ-
ტიურ-ტასალა. სიმძლივ საზოგადოებრივი ისილონისათვის ურთად მის გან-
ვითარებას და ლეგანლელ საქმიანობას ასახავს.

დამწერებული საზოგადოებრივი სიცუკით მიმართავენ ქული და ახალი
თაობის ქალთულები. მოხუცელი ცეკვამისათვის, ერმანულ-ქალთული საზოგადოებ-
ების და უკიდვის ქუცენების ქალთული საზოგადოებრივი ცალისამაღებულები.

კონცერტი მონაწილეობას მიიღებს ინეოლუფალფის ქალთული
კამერული ორკესტრის ნერკობის და ქალთული ბენდი „The Shin“.

ერმანის ქალთული საზოგადოებრივი მოშპანებულ ცეკვამისათვის ქალთული
ლუნითა და კურიერით ეყვანისინდლუბის.

სიუბილეური ლონისძიება შედგება შემდეგ მისამართზე:
Casino des KVR München
Ruppertstraße. 11
80337 München

სისამართო კულტო თქვენ მოშპანება!

ჩვენი პატიონისა ამერიკაში გამომაფადი ქახთული გაზეთი „მამული“

გერმანიის ქართული სათვისტომოს თორგანო
გამოიცემა 2005 წლის ოქტომბრიდან

Das Organ des Georgischen Vereins in Deutschland e.V.
Herausgegeben seit Oktober 2005

ლამაზებები-ბაზომსახელი:
გახანის კახთული სათვისტომო
სათვისტომოს თავაქომახი: ლინ ლათაშვილი

სახელაქონი კოლეგია:
ნინო ხაბელაშვილი (მო. რედაქტორი)
თინათინ ჩითინაშვილი (რედაქტორი)
ნინო დალაქიშვილი
ნინო ცხომელიძე-დეპპერშმიდტი
ეკატერინე ცირიკაშვილი

ბერეზის მისამართი

Georgischer Verein in
Deutschland e.V.
c/o Leri Datashvili
Roemerhofweg 51c
85748 Garching b. München

დაგვიკავშირდით:
ტელ.: 0711/12 28 97 26
ელ. ფოსტა: qartuli@satvistomo.de